






მარნეულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა  
2023 – 2027 წელი



## გეგმის შინაარსი

ტერმინების განმარტება ..... 5-6 გვ.

კანონმდებლობა ..... -7 გვ.

### 1. არსებული მდგომარეობა

1.1. მარნეულის მუნიციპალიტეტის აღწერა ..... 8-18 გვ.

1.2. დაინტერესებული მხარეები ..... 18-19 გვ.

1.3 პროცესის მიმდინარეობა ..... 20 გვ.

1.4. გეგმის ხედვა ..... 21 გვ.

1.5. გეგმის მიზნები (ხედვის შესაბამისად) ..... 21 გვ.

1.6. გეგმის ამოცანები (მიზნების შესაბამისად) ..... 22 გვ.

1.7. ღონისძიებები და მიზნობრივი შედეგები ..... 23-30 გვ.

1.8. დაგეგმვის პროცესის აღწერა ..... 31-32 გვ.

### 2. მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

2.1. ნარჩენების სახეობები, შემადგენლობა ..... 33-34 გვ.

2.2. სახიფათო ნარჩენების განთავსების არეალი ..... 34 გვ.

2.3. ქაოსური ნაგავსაყრელები, განთავსების არეალი ..... 35-44 გვ.

### 3. ნარჩენების მართვის არსებული მუნიციპალური სისტემის მიმოხილვა

3.1. სერვისის მიმწოდებლები ..... 45-47 გვ.

3.2. შეგროვებისა და გატანის მომსახურების ციკლის აღწერა ..... 48-50 გვ.

3.3. სატრანსპორტო საშუალებები ..... 50-54 გვ.

3.4. მატერიალური საშუალებები ..... 55 გვ.

3.5. ადამიანური რესურსი ..... 56-58 გვ.

3.6. ნარჩენების განთავსება და დამუშავების ციკლები	58 გვ.
3.7. ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები	59 გვ.
3.8 მოსაკრებელი	60 გვ.

**4. მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ნარჩენების მართვაში (კვლევის ანალიზი) — 61-69 გვ.**

**5. ნარჩენების მართვის მუნიციპალური სისტემის ანალიზი**

5. 1. ნარჩენების მართვის მუნიციპალური სისტემის „SWOT“ ანალიზი	70
5. 2. ნარჩენების მართვის მუნიციპალური სისტემის პრობლემათა იდენტიფიკაცია	72
5.3. ნარჩენების მართვის მუნიციპალური სისტემის პრიორიტეტების განსაზღვრა	73

**6. გეგმის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები — 73**

## ტერმინთა განმარტება:

- ა) ნარჩენი – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;
- ბ) სახიფათო ნარჩენები – ნარჩენები, რომლებსაც აქვს ამ კოდექსის III დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი;
- გ) არასახიფათო ნარჩენები – ნარჩენები, რომლებსაც არ მოიცავს „სახიფათო ნარჩენების“ განმარტება;
- დ) საყოფაცხოვრებო ნარჩენები – საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;
- ე) მუნიციპალური ნარჩენები – საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;
- ვ) ინერტული ნარჩენები – ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს – არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას;
- ზ) ბიოდეგრადირებადი ნარჩენები – ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბალის/პარკის ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო;
- თ) თხევადი ნარჩენები – თხევად მდგომარეობაში არსებული ნარჩენები;
- ი) სამედიცინო ნარჩენები – სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;
- კ) ცხოველური ნარჩენი (ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი) – ცხოველის სხეული ან მისი სხეულის ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) No 1069/2009 რეგულაციის შესაბამისად;
- ლ) სპეციფიკური ნარჩენი – ისეთი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენი, რომელიც თავისი მახასიათებლებისა და ფართო გავრცელების გამო ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მართვის სპეციფიკური ზომების მიღებასა და მოვლას საჭიროებს (შეფუთვა, ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო- და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა);

- მ) **ნარჩენების წარმომქმნელი** – პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები (ნარჩენების თავდაპირველი წარმომქმნელი), ან პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, შერევას და სხვა საქმიანობას, რომლის შედეგადაც ნარჩენების მახასიათებლები ან შემადგენლობა იცვლება;
- ნ) **ნარჩენების მფლობელი** – ნარჩენების წარმომქმნელი ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ნარჩენებს;
- ო) **ნარჩენების გადამზიდველი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების ტრანსპორტირებას;
- პ) **ოპერატორი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ნარჩენების შეგროვების, ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის ან ნარჩენების დამუშავების ობიექტის ან ასეთი ობიექტის ნაწილის მართვის უფლება;
- ჟ) **ნარჩენების მართვა** – ნარჩენების შეგროვება, დროებითი შენახვა, წინასწარი დამუშავება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება, ამ საქმიანობების, ღონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობა და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომი მოვლა;
- რ) **ნარჩენების დამუშავება** – ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული აღდგენის და განთავსების ოპერაციები, აგრეთვე ნარჩენების წინასწარი დამუშავება აღდგენამდე ან განთავსებამდე;
- ს) **ნარჩენების წინასწარი დამუშავება** – ამ კოდექსის I დანართის R12 კოდით და II დანართის D13 კოდით განსაზღვრული წინასწარი ოპერაციები, რომლებიც ნარჩენების აღდგენამდე ან განთავსებამდე ხორციელდება;
- ტ) **დანაგვიანება** – ნარჩენის (ნარჩენების) გარემოში დაგდება (დაყრა), გადაგდება (გადაყრა) ან/და მიტოვება ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა და ობიექტების გარეთ;
- უ) **პრევენცია** – ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე ზომების მიღება, რაც ამცირებს: ნარჩენების რაოდენობას. ეს, სხვა საშუალებებთან ერთად, მიიღწევა პროდუქტის ხელახალი გამოყენებით ან პროდუქტის ვარგისობის ვადის გაგრძელებით;
- ფ) **რეციკლირება** – აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება;
- ქ) **სეპარირებული შეგროვება** – ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობისათვის განცალკევებულია სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით;
- ღ) **ნარჩენების ინსინერაციის საწარმო** – სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ობიექტი ან მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების თერმული დამუშავებისთვის, გამოყოფილი წვის სითბოს აღდგენით ან მისი აღდგენის

გარეშე, ნარჩენების დაჟანგვით (ოქსიდაციით) ინსინირების გზით, აგრეთვე სხვა თერმული დამუშავების პროცესით, როგორცაა პიროლიზი, გაზიფიკაცია ან პლაზმური დამუშავება, თუ ამ პროცესის შედეგად მიღებული ნივთიერებები ინსინირებულია;

ყ) დეკარბონიზაცია - რიმე მასალს განთავისუფლება ნახშირბადადგან; ატმოსფეროში ნახშირბადად ემისიების შემცირების პროცესი.

## 1.1. ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძველი

ნარჩენების მართვის სფეროში შექმნილია სამართლებრივი საფუძვლები, ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას საქართველოში, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორეული ნედლეულის გამოცალკევებას, ნარჩენებიდან ენერჯის აღდგენას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას). ესენია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“;
3. „ორჰუსის კონვენცია“ – კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“;
8. საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“;
9. საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“;

ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებები:

- „ნარჩენების მართვის 2016–2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016–2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ“ (დადგენილება №160, 01.04.2016);
- „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი (დადგენილება №145, 20.03.2016);
- „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ (დადგენილება №145, 20.03.2016);

- ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ (დადგენილება №144, 29.03.2016);
- ნარჩენების ტრანსპორტირების წესის ტექნიკური რეგლამენტი“ (დადგენილება №143, 29.03.2016).



## 1. არსებული მდგომარეობა

### 1.1. მარნეულის მუნიციპალიტეტის აღწერა

#### მდებარეობა

მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში და მიეკუთვნება ქვემო ქართლის რეგიონს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მარნეული.

მარნეულის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით – აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია – 935,2 კმ<sup>2</sup> და ზღვის დონიდან



საშუალოდ 420 მ. სიმაღლეზეა. მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქ. მარნეული თბილისიდან დაშორებულია 29 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან, ქ. რუსთავიდან – 48 კმ-ით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებიდან – 30-30 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებს.

### **ისტორია**

მარნეულის მუნიციპალიტეტი დიდ დასახლებად იქცა სოფლების: ლომთაგორა–მარნეულის, ჭანდარ–სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა (წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში), რითაც ბოლოვდებოდა მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწკრივი მდინარე ალგეთის მარვენა მხარეს. დასახლებული პუნქტი იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და საგზაო კვანძი. მარნეული ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს.

### **კლიმატი**

მარნეულის მუნიციპალიტეტი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში მდებარეობს და, რელიეფის შესატყვისად, ჰავის ზონალურობა ახასიათებს. ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ზომიერად თბილი სტეპური ჰავაა, ზაფხული ცხელია. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა იანვარში 0 – +0.30-ია, ივლისში – +23.90, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – 25-ია, აბსოლუტური მაქსიმალური კი +40. ნალექები – 490-500 მმ წელიწადში. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მაისშია, ხოლო მინიმალური – დეკემბერში.

იაღლეჯის მაღლობზე, აგრეთვე, ლოქის ქედსა და ბაბაკირის სერზე ჰავა რამდენადმე განსხვავებულია, ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერ ნოტიოზე გადადის. დამახასიათებელია მზიანი ამინდების ხანგრძლივობა. მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატი იდეალურია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის, იგი პროდუქციის 2-3 სეზონად მოყვანის შესაძლებლობას იძლევა.

### **ტერიტორიული მოწყობა და მოსახლეობა**

მუნიციპალიტეტი დაყოფილია 18 ადმინისტრაციულ ერთეულად, მთლიანად მუნიციპალიტეტში 81 დასახლებაა: 1 ქალაქი, და 77 სოფელი. ( 3 სოფელი არ არის დებულებაში ).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:

	საერთო რაოდენო ბა	კაცი	ქალი	კომლი
<b>მარნეულის მუნიციპალიტეტი</b>	<b>107,200</b>	<b>54 116</b>	<b>53 084</b>	<b>37 416</b>
<b>ქ. მარნეული</b>	<b>22,454</b>	<b>10 846</b>	<b>11 608</b>	<b>5,200</b>
<b>ალგეთის ადმინისტრაციული ერთეული</b>	<b>11,850</b>	<b>6,066</b>	<b>5,784</b>	<b>4571</b>
ალგეთი	4,283	2,171	2,112	1730
აზიზკენდი	1,536	792	744	848
გაჯისაკენდი	522	259	263	183
თაზაკენდი	2,076	1,061	1,015	830
საბირკენდი	3,433	1,783	1,650	980
<b>ახკერპის ადმ. ერთეული</b>	<b>862</b>	<b>408</b>	<b>454</b>	<b>294</b>
ახკერპი	610	286	324	226
ვერხვიანი	...	...	...	....
ჩანახჩი	248	120	128	68
<b>დამია-გეურარხის თემი</b>	<b>3,618</b>	<b>1,844</b>	<b>1,774</b>	<b>1191</b>
დამია-გეურარხი	1,939	979	960	598
ახლოლალლო	690	369	321	267
დამია	326	165	161	81
კიროვკა	663	331	332	245
<b>თამარისის თემი</b>	<b>1,975</b>	<b>967</b>	<b>1008</b>	<b>617</b>
თამარისი	1,426	693	733	470
ალავარი	220	99	121	72
ახალი დიოკნისი	329	175	154	75
<b>კასუმლოს თემი</b>	<b>6,525</b>	<b>3,310</b>	<b>3,215</b>	<b>2995</b>
კასუმლო	2,324	1,177	1,147	1231
აღმამედლო	2,289	1,164	1,125	932
ბაითალო	329	167	162	135
ზეითარაბჩი	487	263	244	198
კუმჭუ	404	210	194	158

ულაშლო	692	344	348	341
<b>კაპანახჩის თემი</b>	<b>9,021</b>	<b>4,575</b>	<b>4,446</b>	<b>2077</b>
კაპანახჩი	1,081	522	559	230
ალგეთის მევენახეობა	507	250	257	135
ამბაროვკა	578	313	265	127
ილმაზლო	998	508	490	175
მეორე ქესალო	1,353	679	674	340
პირველი ქესალო	1,267	626	641	310
ქეშალო	3,237	1,677	1,560	760
<b>კაჩაგანის თემი</b>	<b>5,505</b>	<b>2,712</b>	<b>2,793</b>	<b>2226</b>
კაჩაგანი	2,487	1,188	1,299	1100
თაქალო	1,536	792	744	606
კირაჩ მულანლო	1,102	554	548	358
ხანჯიგაზლო	380	178	202	162
<b>ოფრეთის თემი</b>	<b>139</b>	<b>65</b>	<b>74</b>	<b>61</b>
ოფრეთი	80	39	41	38
ხოხმელი	59	26	33	23
<b>სადახლოს თემი</b>	<b>10049</b>	<b>5,144</b>	<b>4,905</b>	<b>2892</b>
სადახლო	7,337	3,724	3,613	2141
ბურმა	148	78	70	45
თაზაკენდი	478	249	229	105
მოლაოღლი	1,171	612	559	350
ხულდარა	915	481	434	251
<b>ქუთლიარის თემი</b>	<b>4,876</b>	<b>2,442</b>	<b>2,434</b>	<b>2062</b>
ქუთლიარი	1,443	717	726	603
ბაიდარი	882	441	441	548
დიდი მულანლო	1,286	646	640	482
ლეჟბადინი	992	503	489	356
ხუტორ-ლეჟბადინი	273	135	138	65
<b>დოლის ყანა(არ არის დებულებაში)</b>	<b>21</b>			<b>8</b>
<b>სოფელი ყიზილ-აჯლო</b>	<b>7,351</b>	<b>3,802</b>	<b>3,549</b>	<b>2260</b>

ყიზილ-აჯლო	7,351	3,802	3,549	2260
<b>ყულარის თემი</b>	<b>5 030</b>	<b>2,518</b>	<b>2,512</b>	<b>1479</b>
ქვემო ყულარი	565	292	273	140
მეწამულა	134	69	65	45
დამტავა	1,092	545	547	380
ზემო ყულარი	1,141	576	565	178
კირიხლო	1,164	588	576	290
მარადისი	239	109	130	51
წითელსოფელი	695	339	356	270
ყულარი	540			125
<b>შაუმიანის თემი</b>	<b>3,723</b>	<b>1,855</b>	<b>1,868</b>	<b>1533</b>
შაუმიანი	3,107	1,542	1,565	1100
ახკულა	86	39	47	45
ყუდრო	26	16	...	10
ხიხანი	504	258	246	170
შაუმიანის დევნილთა დასახ. (არ არის დებულ )	509			208
<b>შულავერის თემი</b>	<b>7,714</b>	<b>3,871</b>	<b>3,843</b>	<b>5761</b>
შულავერი	1,551	760	791	3365
არაფლო	854	438	416	338
ახლომახმუდლო	614	305	309	252
ენიკენდი	448	229	219	195
ზემო სარალი	883	448	435	349
იმირი	1,285	657	628	384
იმირქალა	208	111	97	56
სეიდგოჯალო	501	252	249	192
მარეთი (დებულეზაში არ არის)	484			124
ქვემო სარალი	1,370	671	699	506
<b>წერაქვის თემი</b>	<b>384</b>	<b>180</b>	<b>202</b>	<b>123</b>
წერაქვი	165	82	83	65
სიონი	219	100	119	55
ჯანხოში	...	...	...	3

<b>წერეთელის თემი</b>	<b>4,610</b>	<b>2,324</b>	<b>2,286</b>	<b>1540</b>
წერეთელი	2,221	1,096	1,125	595
დიდი ბეგლარი	356	191	165	120
ნორგიული	436	206	230	200
პატარა ბეგლარი	320	153	167	130
საიმერლო	1,277	673	604	495
<b>ხოჯორნის თემი</b>	<b>1,514</b>	<b>756</b>	<b>758</b>	<b>534</b>
ხოჯორნი	635	308	327	230
ბრდაზორი	38	19	19	10
გიულბახი	245	123	122	74
ცოფი	596	306	290	220

### ნიადაგი

მუნიციპალიტეტს აქვს მინერალური რესურსები: დიდი ოდენობით ბაზალტის ქვის საბადო, მარმარილოს საბადო სადახლოში, ქვალორღის, გაჯის, თეთრი ქვისა და ინერტული ქვიშის მარაგები, მათი რაოდენობა ეკონომიკური დანიშნულებით გამოყენების საშუალებას იძლევა. აღნიშნული რესურსი გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და გამოიყენება, როგორც სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები.

### ზედაპირული წყლები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარეთა ქსელი ხშირია. აღმოსავლეთ საზღვართან ჩამოედინება მდინარე მტკვარი. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია ხრამი, ალგეთი და დებედა, შულავერა, ბანოვმა და ახკერპის წალი.


### მოსახლეობა

2014 წლის, მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 104 300 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მრავალეთნიკურია, 2011 წლის მონაცემებით შემდეგნაირად ნაწილდება: აზერბაიჯანელები – 83.1 %, ქართველები – 8,03 %, სომხები – 7, 89 %, ხოლო დანარჩენი სხვა ეროვნების მოქალაქეები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19.4% (20 211 კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 80. 6% (84 089 კაცი) - სოფელად.

ასაკობრივი ჭრილის მიხედვით 0-5 წლამდე მოსახლეობა შეადგენს 12009 კაცს, 6-17 წლამდე - 22 650 კაცს, 18-59 წლამდე - 84 916 კაცს, 60-64 წლამდე - 6030 კაცს, ხოლო 65 წელს ზევით 11 709 კაცს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 19,3% (28 000 კაცი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 80,7% (108 803 კაცი) - სოფელად.

დიაგრამა - მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2006 – 2016 წწ.

**მოსახლეობის დინამიკის ამსახველი გრაფიკი**



**ეკო-მიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები**

2016 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში იმყოფება 447 იძულებით გადაადგილებული ოჯახი აფხაზეთიდან, სამაჩაბლოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან, გარდა ზემოაღნიშნული დევნილი მოსახლეობისა, მუნიციპალიტეტის სოფლებში განთავსებულია აგრეთვე, 459 ეკო-ემიგრანტი ოჯახი სვანეთიდან, აჭარიდან და საჩხერიდან.

## **მაღალმთიანი დასახლება**

მარნეულის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს 10 სოფელს: წერაქვი, ჯანხოში, ოფრეთი, ხოხმელი, ხოჯორნი, ახკერპი, ჩანახჩი, ვერხვიანი, ბრდამორი და ყუდრო. (სტატუსი მინიჭებული აქვს 1200 მოქალაქეს).

## **მუნიციპალიტეტის ეკონომიკური საქმიანობა**

2004 წლიდან მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა ზრდის ტენდენციები, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროს. ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა (50%-ზე მეტი), ვაჭრობა (25%), გადამამუშავებელი მრეწველობა (15%), სხვა დარგებზე (ძირითადად მშენებლობა, მომსახურება) მოდის ეკონომიკის ხვედრითი წილის 10%. „საქსტატი“-ს მონაცემით, 2018-2020 წლებში მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდა 2,020 საწარმოო სუბიექტი.

## **სოფლის მეურნეობა**

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების საერთო რაოდენობა შეადგენს 58 507 ჰა-ს, საიდანაც 31 600 ჰა სახნავია, 1 999 ჰა სათიბი, 1 942 მრავალწლიანი ნარგავი და 22 960 ჰა სამოვარი. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად დარგს, რომელშიც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 50%. საქართველოს ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იქნა 28 882 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმო და მეურნეობა. მათგან 98,8% (28 818) წარმოადგენს ოჯახურ მეურნეობას. აღწერის შედეგების თანახმად, სასოფლო მეურნეობების 37,2% პროდუქციას აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო 62,4% – ძირითადად რეალიზაციისათვის.

## **მემცენარეობა**

მარცვლეული კულტურებიდან ძირითადად გავრცელებულია - ხორბალი, სიმინდი, მზესუმზირა, ქერი და სხვა, ბოსტნეული კულტურებიდან - ხახვი, პომიდორი, წიწაკა, კომბოსტი, ბადრიჯანი და სხვა. ხოლო ბაღიერი კულტურებიდან საზამთრო და ნესვი. მუნიციპალიტეტში, აქტიურად მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიებით

გათვალისწინებული სათბურების მოწყობა, 2012 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს 150 მცირე, 82 საშუალო ზომისა და 6 დიდი სათბური.

### **მეცხოველეობა**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 37 მსხვილი ფერმერული მეურნეობა, რომელთა მიერ დაკავებული მიწის ფართობი საშუალოდ 20 ჰექტარს აღემატება. ფერმერული მეურნეობები, ძირითადად დაკავებულნი არიან მიწათმოქმედებით, ამასთან მათგან 25% მთლიანად ან დამატებით მისდევს მესაქონლეობასაც. მუნიციპალიტეტში, თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს 2 –3 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა აბსოლიტური უმრავლესობა კავკასიური წაბლას ჰიბრიდია. პირუტყვის სულადობის 41%, მსხვილ ფერმერულ მეურნეობებშია მოქცეული. 2016 წლის, იანვრის თვის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 34 034 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია.

### **მრეწველობა**

მარნეულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა, მეტწილად სოფლის მეურნეობას უკავშირდება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მარნეულის საკონსერვო ქარხანა. ასევე, ფუნქციონირებს როგორც სამაცივრე და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახი საწყოები, სამაცივრე შენობიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქალაქ მარნეულში, მდებარე შ.პ.ს „AGROINVEST 146“-ის საკუთრებაში არსებული 5000 ტონიანი სამაცივრე, რომელიც უზრუნველყოფს 3,000 ტონა ბოსტნეულისა და 2000 ტონა ხორცის პროდუქტების შენახვას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საწარმო „ქართული მატყლის კომპანია“, რომელიც ახორციელებს ქართული მატყლის გატანას საზღვარგარეთ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა, როგორც ქვიშა ღორღის, ასევე ბაზალტის გადამამუშავებელი საწარმოები.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს, 2 აგრარული ბაზარი და რამოდენიმე ათეული სპეციალიზირებული მაღალტექნოლოგიური სავაჭრო ცენტრები, მრავლადაა აფთიაქები, ბანკის ფილიალები, ბენზინგასამართი სადგურები და სხვადასხვა სახის სამეწარმეო ობიექტები.



## ტურიზმი და მომსახურების სფერო

- მარნეულის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისათვის გააჩნია საუკეთესო პოტენციალი, რაც გამოიხატება შემდეგში: გეოგრაფიული მდებარეობა; არსებული ლანდშაფტები; დედაქალაქთან სიახლოვე. მუნიციპალიტეტში ეთნოტურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალება: აქ ერთ სოფელში შესაძლებელია რამოდენიმე სხვადასხვა ეთნოსის ადათ-წესების და სამზარეულოს მონახულება, არსებული ბუნების ხედები, საპიკნიკე ადგილები, მსოფლიო, ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული ძეგლები (როგორც არქიტექტურული, ისე არქეოლოგიური). აღსანიშნავია ე.წ. იმირის „გადაჭრილი გორა“ (არქეოლოგიური ძეგლი), რ-იც თარიღდება ძვ.წ.ად. VI-V ათასწლეულით და სადაც მსოფლიოში პირველად, 8000 წლის წინ, სწორედ აქ, ამ ადგილას ადამიანმა მოაშინაურა ველური ვაზი და მისგან დაწურა ღვინო და მიჩნეულია მსოფლიო „ღვინის სამშობლოდ“.

## მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 45 მრავალბინიანი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მრავალსართულიანი ბინების 90% პრივატიზებულია. ბინების უმრავლესობას ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე გამოეცვალა სახურავი. ეტაპობრივად მიმდინარეობს ბინის დაზიანებული სახურავების სრული რეაბილიტაცია. 2016 წელს მრავალსართულიან სახლებთან კეთილმოეწყო 3 მინისტადიონი, მუნიციპალიტეტი კვლავ აქტიურად განაგრძობს აღნიშნულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და უახლოეს ხანებში ყველა მინისტადიონი იქნება რეაბილიტირებული.
- მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქ. მარნეულის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არარსებობა.

## სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სამი საერთაშორისო მნიშვნელობის და ექვსი შიდა სახელმწიფოებრივი დანიშნულების საავტომობილო გზა. საერთაშორისო ავტოტრასებია: სადახლო-მარნეული (სომხეთის საზღვარი), თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი); ფონიჭლა-მარნეული-გუგუთი (სომხეთის საზღვარი). შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებია: სადახლო-წოფი-ახკერპი (სომხეთის საზღვარი), მარნეული-თეთრიწყარო-წალკა, შულავერი წითელი-ხიდი,

შულავერი-შაუმიანი-სიონი-წერაქვი,მარნეული-ალგეთი-აზიზქენდი, წერეთელი-ნორგიული-მუდანლო-ქესალო.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე, გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს აკავშირებს სომხეთის რესპუბლიკასთან და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის, აგრეთვე, ბუნებრივი აირის მილსადენები.
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის საერთო სიგრძე წარმოადგენს 540 კილომეტრს. აქედან, მუნიციპალური დანიშნულების გზის საერთო სიგრძე 220 კმ-ა, ხოლო, შიდა საუბნო - 320 კმ. მოასფალტებულია მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზის 230 კილომეტრიანი მონაკვეთი, ხოლო მოხრეშილია 320 კმ მონაკვეთი.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო მაგისტრალი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საგარეუბნო მიმოსვლისათვის.
- ქ. მარნეულის უბნების დაახლოებით 20% და მუნიციპალიტეტის 4 სოფელი უზრუნველყოფილია ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით, დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის საჭიროებაა.

## 1.2. დაინტერესებული მხარეები

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის დაინტერესებული მხარეები	შესაძლებლობები:
ადგილობრივი თვითმმართველობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემების შეგროვება;</li> <li>• კვლევა;</li> <li>• სერვისის მომწოდებელი მუნიციპალური კომპანიების ორგანიზაციული განვითარება;</li> <li>• „ფანდრაიზინგი“;</li> <li>• სერვისების ხარისხის კონტროლი;</li> </ul>
სამოქალაქო ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;</li> <li>• მონიტორინგი;</li> <li>• სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები;</li> <li>• დასუფთავების აქციებში მონაწილეობა;</li> </ul>
მოქალაქეები	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონიტორინგი;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• დანერგილი სერვისების მოთხოვნების დაცვა;</li> <li>• დასუფთავების აქციებში მონაწილეობა;</li> <li>• ნარჩენების სეპარირება;</li> <li>• მომსახურების მოსაკრებლის გადახდა;</li> <li>• ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;</li> </ul>
სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონიტორინგი;</li> <li>• დანერგილი სერვისების მოთხოვნების დაცვა;</li> <li>• დასუფთავების აქციებში მონაწილეობა;</li> <li>• ნარჩენების სეპარირება;</li> <li>• მომსახურების მოსაკრებლის გადახდა;</li> <li>• ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;</li> </ul>
მარნეულში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირები (მათ შორის სავაჭრო და კვების ობიექტები, მედია საშუალებები)	<ul style="list-style-type: none"> <li>• დანერგილი სერვისების მოთხოვნების დაცვა;</li> <li>• ნარჩენების სეპარირება;</li> <li>• მომსახურების მოსაკრებლის გადახდა;</li> <li>• ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;</li> <li>• დასუფთავების აქციებში მონაწილეობა;</li> </ul>
საერთაშორისო ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>• სერვისის მომწოდებელი მუნიციპალური კომპანიების ორგანიზაციული განვითარება;</li> <li>• „ფანდრაიზინგი“;</li> <li>• ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;</li> <li>• სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები;</li> <li>• საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.</li> </ul>

### 1.3 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესის მიმდინარეობა:

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების მიზნით მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

№	სახელი, გვარი	პოზიცია სამუშაო ჯგუფში	სამუშაო ადგილი, თანამდებობა
1	ზურაბ ფანგანი	ჯგუფის ხელმძღვანელი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
2	ირინე მაჭარაშვილი	თავმჯდომარის მოადგილე	ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი
3	თამარ კიპაროძე	მდივანი	ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
4	მამუკა შუბითიძე	წევრი	ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი
5	ბექა გავაშელი	წევრი	ადამიანური რესურსების და იურიდიულ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი (მშ)
6	ზურაბ ვაშალომიძე	წევრი	ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
7	დავით ბაბლუანი	წევრი	მოსაკრებლის განყოფილების ხელმძღვანელი
8	ბესიკ გუჯეჯიანი	წევრი	შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს ხელმძღვანელი
9	ლერი მუმლაძე	წევრი	ა(ა)იპ „სუფთა მარნეული“-ს ხელმძღვანელი
10	აგილ ამირჯანოვი	წევრი	ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები და შესაბამისი მიზნები დაჯგუფებულია შემდეგ მიმართულებებად:

1. კანონმდებლობა
2. ნარჩენების მართვის დაგეგმვა
3. ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება
4. ნაგავსაყრელები
5. პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა
6. ხარჯების ამოღება
7. მონაცემები ნარჩენების შესახებ
8. მართვის შესაძლებლობები
9. სახიფათო ნარჩენების მართვა
10. პლასტიკის ნარჩენების მართვა
11. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვა
12. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვა

#### 1.4. გეგმის ხედვა

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვის იმ ვალდებულებებს, რომელიც განსაზღვრულია ნარჩენების მართვის კოდექსის მიერ და შესაბამისობაშია ეროვნულ სტრატეგიასთან.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის ხედვით, 2023-2027 წლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სუფთა და ჯანსაღი გარემო დანერგული თანამედროვე სტანდარტებით. გაუმჯობესებულია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების შესაბამისი სტანდარტიზებული სისტემა, ეტაპობრივად ხორციელდება სეპარირება, ასევე მოქმედებს ნარჩენების გადამუშავების პროცესი და მოსახლეობაში გაზრდილია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ცნობიერების მაჩვენებელი.

შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტში დანერგილია/გაუმჯობესებულია ნარჩენების აღრიცხვის და დახარისხების მართვის სისტემა, პროგნოზი, რომლის მიხედვითაც 2027 წლისთვის განვსაზღვრავთ მიღებულ შედეგებს, როგორც ნარჩენების წარმოქმნის, შემცირების და მართვის კუთხით.

### 1.5. გეგმის მიზნები

1. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესება;
2. სეპარირების სისტემის სრულყოფა;
3. მოსაკრებლის შემოღება;
4. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;
5. მარნეულის „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს რენტაბელურობის გაუმჯობესება;
6. სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნა, სადაც დანერგილია თანამედროვე სტანდარტები;
7. საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობაში სისტემის გაუმჯობესება;

### 1.6. გეგმის ამოცანები

მარნეულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვის იმ ვალდებულებებს, რომელიც განსაზღვრულია „ნარჩენების მართვის კოდექსით“.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა მიმართულია ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაზე, როგორცაა:

- საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ეფექტიანი ადგილობრივი პროგრამების, პროცესებისა და ობიექტების შექმნის თვალსაზრისით;
- ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკების მინიმიზაცია;

- გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის არსებულ სისტემასთან;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოება, რათა მოცული იქნას მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა;
- ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის მოსაკრებლის ამოქმედება;
- ნაგავში მანქანებით უზრუნველყოფა; (ასევე, დამგველი და სარწყავი მანქანებით);
- ნარჩენების შეგროვების ოპტიმალური მარშრუტებისა და ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკების შემუშავება;
- ეკონომიკური სარგებლის მიღება, ისეთი ღონისძიებების დანერგვით, როგორცაა ნარჩენების კომპოსტირება და რეციკლირება.
- მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

### 1.7. ღონისძიებები და შედეგები

- სამუშაო ჯგუფი (იმ სამსახურების წარმომადგენლებისგან, ვისაც შეხება აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან);
- გაიმართოს საჯარო განხილვები (ასევე მოხდეს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება);
- ჩატარდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
- მოხდეს თანამშრომლობა მეზობელ მუნიციპალიტეტებთან;
- ნარჩენების კომპოსტირების პროპაგანდა;
- ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემის განვითარება;
- მოხდეს მთლიანი მუნიციპალიტეტის მაშტაბით მცირე ზომის ურნებით უზრუნველყოფა;
- ტარიფის განსაზღვრა და მოსაკრებლის დაწესება
- მოსახლეობაში მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება;
- შესაბამისი ბუკლეტების შექმნა, ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისათვის სანქციების შესახებ

## შპს "ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო



მიზანი:

### სეპარირების კულტურის გაფართოება

1. ამოცანა:

საწარმოს აღჭურვილობის გაზრდა (პლასტმასის ბუნკერებისა რაოდენობის გაზრდა და მათი მომსახურებისათვის შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების შექმნა);



2. ამოცანა:

მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად რეგულარული საინფორმაციო კამპანიის დანერგვა;

2.1. ექსკურსიის ციკლები წარმოების პროცესის საჩვენებლად;

2.2. საბავშვო ბაღებში და სკოლებში ცნობიერების ამაღლება.

3. ამოცანა:

საწარმოს ადამიანური რესურსის მუდმივი გადამზადება – საჭიროებების შესაბამისად

4. ამოცანა:

საწარმოს რენტაბელობის მუდმივი ზრდა

4.1. თანამშრომლობის არეალის გაფართოება მუნიციპალურ, რეგიონალურ და ტრანსსასაზღვრო ჭრილში;

4.2. კომპოსტის წარმოების გაზრდა და შესაბამისად, ახალი გასაღების ბაზრების ათვისება;

4.3. მედია საშუალებების დაინტერესება.

1.7.2. გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

ამოცანები	პრობლემები	განსახორციელებელი ღონისძიებები	შედეგი	მიღწევის ინდიკატორი	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა	პარტნიორი	საპროგრამო ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მართვის სისტემის გაუმჯობესება	1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მართვის სისტემის და სახეობების შესახებ ინფორმაციის	1.1.1. მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღრიცხვაზე და ბაზაში განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა; 1.1.21.1 შენუშავებული მონაცემთა	1.1.1.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მართვის სისტემის და სახეობების შესახებ ინფორმაციის	1.1.1.1.1. წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა ელექტრონული ბაზა	2023 წლის დეკემბერი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები	-	—ლარი	დონორები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

	ნაკლებობდა	ელექტრონული ბაზის წარმოება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ, სახეობების მიხედვით. 1.3 საპილოტე ვერსიისთვის მინიმუმ 2 ვიდეო ხაფანგის დამონტაჟება შესაბამის ადგილზე	ხელმისაწვდომობა.						
2.(ამოცანა) ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესება	ნარჩენების მართვა ხორცილდება მხოლოდ მუნიციპალიტეტის 55 %-ზე და ტრანსპორტირება და ტექნიკა ნაწილობრივ გაუმართავია	1.მოეწვოს დასუფთავების აქციები; 2. ნარჩენების გატანის სერვისმა მოიცვას მთლიანი მუნიციპალიტეტი 3.მოხდეს შესაბამისი ტექნიკის შეძენა (ნაგავმზიდი და სხვა)	1.დარეგულირდება ნარჩენების მართვის სისტემა; 2.შემცირდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა	1.დამატებული სოფლების რაოდენობა; 2. შექმნილი ტექნიკის რაოდენობა (მინიმუმ 3.ნაგავმზიდი); 3.შეგროვებული ნარჩენების მოცულობა	ეტაპობრივად მოხდება განხორციელება 2027 წლის ჩათვლით	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები		შესაბამისი ფინანსური ღირებულების გათვალისწინებით	დონორები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

<p>3. (ამოცანა) სეპარირების სისტემის სრულყოფა;</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრობლემას წარმოადგენს ნარჩენების სეპარირება, კომპოსტის წარმოების რეალიზაცია და პოლიეთილენისთვის განკუთვნილი ბადურების დამატება</p>	<p>შესაბამისი ანალიზის მიხედვით, საჭიროების გამოკვეთით სეპარირებისთვის პლასმასის ურნების (ქაღალდიმუყაო, შუშა, პლასმასი), ეტაპობრივად შექმნა 2. თვითმცლელი სტრატეგიის დამატება</p>	<p>სეპარირებით მოხდება დამატებით შემოსავლები და გაზრდა</p>	<p>1.1.1.1.1. წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა ელექტრონული ბაზა</p>	<p>ეტაპობრივად მოხდება განხორციელება 2027 წლის ჩათვლით</p>	<p>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები</p>	<p>საქართველოს გარემოსდაცვითი ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p>	<p>შესაბამისი ფინანსური ღირებულების გათვალისწინებით</p>	<p>დონორები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</p>
<p>4. (ამოცანა) მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;</p>	<p>მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის და გაცნობიერებული არ აქვს ნარჩენების მართვის სისტემის საჭიროება და მათი ჩართვა აღნიშნულ პროცესში</p>	<p>1. დაიბეჭდოს ბუკლეტები ნარჩენების მართვის სისტემაზე; 2. ჩატარდეს საჯარო განხილვები; 3. საბავშვო ბაღებში და სკოლებში ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები</p>	<p>1. მოსახლეობის გააცნობიერებას მოქალაქეებრივ ვალდებულებას გარემოს დაცვის მიმართულებით. 2. შემცირდება ნარჩენების მართვის მიმართულებით არსებული გამოწვევები;</p>	<p>1. ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა. 2. დაბეჭდილი ბუკლეტების რაოდენობა; 3. შემცირებული ნაგავსაყრე</p>	<p>ეტაპობრივად მოხდება განხორციელება 2027 წლის ჩათვლით</p>	<p>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები</p>	<p>შესაბამისი ფინანსური ღირებულების გათვალისწინებით</p>	<p>დონორები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</p>	

			3. შემცირებულ ახლად წარმოქმნილი ნაგავსაყრელების კერა	ლების რაოდენობა					
5.(ამოცანა) მოსაკრებლის შემოღება;	1. ფიზიკური პირებიდან არ ხდება მოსაკრებლის ამოღება;	1.კანონის ფარგლებში მოხდეს მოსაკრებლის შემოღება და გადახდის გრაფიკის დარეგულირება	1. გაუმჯობესდება ნარჩენების მართვის სისტემა (ნარჩენების გატანა, დასუფთავება).2. მუნიციპალიტეტს ექნება მეტი ფინანსური რესურსი გაუმჯობესოს მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემა	დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა; ფიზიკური პირებიდან მოსაკრებლის ამოღების რაოდენობის მაჩვენებელი	ეტაპობრივად მოხდება განხორციელება 2027 წლის ჩათვლით	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები			

6. მუნიციპალიტეტში „საქმიანი ეზო“-ს სისტემის დანერგვა	მუნიციპალიტეტში არ არის საქმიანი ეზო და ხდება ნარჩენების შეგროვების პროცესი ქაოსურად	შესაბამისი სივრცის მოწყობა	გაუმჯობესებული ნარჩენების მართვის შეგროვების სისტემა		ეტაპობრივად და მოხდება განხორციელება 2027 წლის ჩათვლით	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები			
7. ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნების დამატება	მუნიციპალიტეტში არსებული საყოფაცხოვრებო ურნების ნაწილი საჭიროებს გამოცვლას; ასევე ზოგიერთ სოფელში სისტემის გაუმჯობესებისთვის საჭიროა დამატებითი ურნების განთავსება.	ყოველწლიურად მინიმუმ 100 ერთეული საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნების შექმნა	1. საჭიროების ამებრ განახლდება ურნები და დაემატება შესაბამის სოფლებს	ახალი ურნების რაოდენობა; ურნების საერთო რაოდენობა	ეტაპობრივად და მოხდება განხორციელება 2027 წლის ჩათვლით	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები		შესაბამისი ფინანსური ღირებულების გათვალისწინებით	დონორები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
8. დეკარბონიზაციის მიზნების მიღწევისათვის ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა	საჭიროებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ენერჯის ეფექტური გადასვლის გამოწვევა, განახლებადი	დაიგეგმოს ეფექტური დეკარბონიზაციისთვის შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები	დეკარბონიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები;	მუნიციპალიტეტში დეკარბონიზაციის მიმართულებით გაუმჯობესებული მაჩვენებელი	ეტაპობრივად და მოხდება განხორციელება 2027 წლის ჩათვლით	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები			დონორები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

	ენერჯის გამომუშავება ; ენერგოეფექტ ურობის გაუმჯობესებ ა; ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებ ა			ლი					
9.მუნიციპალი ტეტში სამშენებლო, ინერტული და ნგრევის ნარჩენების მართვისთვის ნაგავსაყრელის ლონისძიებების დაგეგმვა	მუნიციპალი ტეტში მრავლად წარმოიქმნება სამშენებლო, ინერტული და ნგრევის ნარჩენი და არ არის აღნიშნულის თვის განკუთვნილ ი ნაგავსაყრელ ი	დაიგეგმოს სამშენებლო, ინერტული და ნგრევის ნარჩენების ნაგავსაყრელის თვის შესაბამისი ადგილის გამოყოფა; დაიგეგმოს აღნიშნული ნარჩენებისთვი ს შეგროვების და განთავსების სისტემა; მოხდეს ადგილობრივი მოსალოების ცნობიერების ამაღლება	გაუმჯობესდ ება ნარჩენების მართვის სისტემა; შემცირდება სამშენებლო ნარჩენების განთავსება და წარმოქმნილ ი ქაოსური ნაგავსაყრელ ირაოდენობა; მუნიციპალი ტეტში დაიწყებს ახალი ნაგავსაყრელ ი ფუნქციონირ ებას	ნაგავსაყრ ლის სტატუსი; გაუმჯობე სებული სისტემა; შემცირებუ ლი სამშენებლ ო ნარჩენის ოდენობა	ეტაპობრივა დ მოხდება განხორცილე ბა 2027 წლის ჩათვლით	მარნეულის მუნიციპალი ტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელ ი საწარმოები	საქართვე ლოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსებ ის დაცვის სამინისტრ ო	შესაბამის ი ფინანსურ ი ღირებულ ების გათვალის სიწინები თ	დონორები, მუნიციპალიტ ეტის ბიუჯეტი

<p>10.ქაოსური ნაგავსაყრელებსი დახურვისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება</p>	<p>მუნიციპალიტეტის მშტაბით ბევრი კერა არის ქაოსური ნაგავსაყრელების</p>	<p>დაიგეგმოს ეტაპობრივად ქაოსური ნაგავსაყრელების აღწერის, დასუფთავების და დახურვის ღონისძიებები</p>	<p>გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტში ჯანსაღი გარემოს მაჩვენებელი; იქნება ქაოსური ნაგავსაყრელების მცირე რაოდენობის კერები; გაუმჯობესდება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაჩვენებელი; გაუმჯობესდება ნარჩენების მართვის სისტემა</p>	<p>დასუფთავებული ქაოსური ნაგავსაყრელების კერების რაოდენობა; თვითმმართველობის მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა; დახურული ქაოსური ნაგავსაყრელების რაოდენობა; მოსახლეობაში გაზრდილი ცნობიერება</p>	<p>ეტაპობრივად მოხდება განხორციელება 2027 წლის ჩათვლით</p>	<p>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია / ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებელი საწარმოები</p>	<p>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p>	<p>შესაბამისი ფინანსური ღირებულების გათვალისწინებით</p>	<p>დონორები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</p>
--	--	---	---	--	--	---	---	---	--

## 1.8. დაგეგმვის პროცესის აღწერა

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესის მიმდინარეობა:

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების მიზნით მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

№	სახელი, გვარი	პოზიცია სამუშაო ჯგუფში	სამუშაო ადგილი, თანამდებობა
1	ზურაბ ფანგანი	ჯგუფის ხელმძღვანელი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
2	ირინე მაჭარაშვილი	თავმჯდომარის მოადგილე	ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი
3	თამარ კიპაროიძე	მდივანი	ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
4	მამუკა შუბითიძე	წევრი	ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი
5	ბექა გავაშელი	წევრი	ადამიანური რესურსების და იურიდიულ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი (მშ)
6	ზურაბ ვაშალომიძე	წევრი	ზედამხედველობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
7	დავით ბაბლუანი	წევრი	მოსაკრებლის განყოფილების ხელმძღვანელი
8	ბესიკ გუჯეჯიანი	წევრი	შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს ხელმძღვანელი
9	ლერი მუმლაძე	წევრი	ა(ა)იპ „სუფთა მარნეული“-ს ხელმძღვანელი
10	აგილ ამირჯანოვი	წევრი	ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი



ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესი შედგებოდა შემდეგი ძირითადი ფაზებისაგან:

**1. დაგეგმვის მოსამზადებელი ფაზა:**

- ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობის შესწავლა პროექტის გუნდის მიერ;
- გეგმის შემუშავებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის განხილვა, რესურსების გამოკვეთა და უზრუნველყოფა;
- შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პროცესში ჩართვა;
- ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების, სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროცესის მიზნებისა და სამიზნე შედეგების განსაზღვრა;
- მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნასა და მართვაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების განსაზღვრა.

**2. არსებული მდგომარეობის განსაზღვრა და შეფასება:**

- განისაზღვრა ნარჩენების ის ნაკადი, რომელთა მართვა ხდება მუნიციპალიტეტის მიერ;
- ნარჩენების მართვის არსებული სერვისის დახასიათება და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მთლიანი ხარჯის განსაზღვრა;
- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულების შესწავლა. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარება და პრობლემების იდენტიფიცირება მათ მიერ;
- არსებული ან დაგეგმილი ეროვნული და რეგიონული პროგრამების ან ინფრასტრუქტურის განსაზღვრა, რომელიც გავლენას მოახდენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიდგომაზე.

**3. ალტერნატივების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება:**

- ნარჩენების მართვის პრიორიტეტების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისთვის მომდევნო 5 წლისათვის;
- ნარჩენების გენერირების პროგნოზირება;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის დაფარვის არეალისა ეფექტიანობის გაზრდის ალტერნატიული გზების განსაზღვრა;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების გადამუშავების და აღდგენის გზების/საშუალებების განსაზღვრა;
- საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების განათლებისა და ნარჩენების მართვაში ჩართულობის ამაღლების ეფექტიანი გეგმის შემუშავება.

#### 4. გეგმის შემუშავება და მიღება:

- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განახლება;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის საჯარო განხილვა;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხილვა საკრებულოში და შესაბამისი დადგენილების მიღება.

## 2. მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

### 2.1. ნარჩენების სახეობები:

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოიქმნება ისეთი ტიპის ნარჩენები, როგორცაა:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები,
- მუნიციპალური ნარჩენები,
- ინერტული ნარჩენები,
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენები,
- თხევადი ნარჩენები,
- სამედიცინო ნარჩენები,
- ცხოველური ნარჩენი,
- სამშენებლო ნარჩენები
- სახიფთო ნარჩენები (ვერცხლისწყალი, ტყვია, აგროქიმიკატები, ვადაგასული პესტიციდები და სხვა)

წარმოქმნილი გეგმა მიმოიხილავს მუნიციპალურ არასახიფათო ნარჩენებს, რომელთა წარმოქმნის წყაროებს მიეკუთვნება:

- საოჯახო მეურნეობები.
- საწარმოები;
- სასწავლო დაწესებულებები (სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებები);
- მომსახურეობის სფერო (სავაჭრო და კვების ობიექტები);
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სამედიცინო დანიშნულების ორგანიზაციები;
- მშენებარე ობიექტები;
- ქვის გადამამუშავებელი კომპანიები;
- სასათბურე-სამაცივრე მეურნეობები;
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმერული მეურნეობები;

მარნეულის მუნიციპალიტეტში ნარჩენების ფრაქციული შემადგენლობა შეგვიძლია შემდეგი სახით განსაზღვროთ:

ბიოლოგიური ნარჩენი	44.00%
ქაღალდი	13.00%
პლასტმასი	21.00%
შავი ლითონები	0.80%
ფერადი ლითონები	0.80%
მინა	1.50%
ხე	0.56%
ქსოვილი და ტყავი	5.43%
ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები	0.24%
სამშენებლო და დემონტაჟის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები	1.04%
სხვა	11.63%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>

## 2.2. სახიფათო ნარჩენები - განთავსების არეალი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ფიქსირდება სპონტანური ნაგავსაყრელების კერები, რომელთა საბოლოო აღაგმვა ვერ ხერხდება ნარჩენების წარმომქმნელთა უდიერი დამოკიდებულებისა და სერვისების არასაკმარისობის გამო.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ვხვდებით ნარჩენების განთავსების არეალს, რომელიც მოიცავს, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენებს.

**არასახიფათო ნარჩენების** კერას ვხვდებით მთლიანი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყოველდღიურად წარმოქმნილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე მეურნეობებში, სხვადასხვა დაწესებულების, ორგანიზაციების, თუ სამშენებლო ნარჩენებისგან.

**სახიფათო ნარჩენები** ფიქსირდება სოფელ ალგეთის მიმდებარე ტერიტორიაზე; „იღლუჯის სამოვრებზე“; ქ. მარნეულში, ყოფილი N1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე.

- **ფეკალიები და ცხოველური ნარჩენი** – საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობის გამო, ფეკალიები და ცხოველური ნარჩენი სოფელ ალგეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაედინება მდინარე ალგეთში, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადების გავრცელებას და გარემოს დაბინძურებას.
- **ვადაგასული პესტიციდები, აგროქიმიკატები და სხვა** – მარნეულის მუნიციპალიტეტში „იღლუჯის სამოვრებზე“ 4 ჰა-ზე მდებარეობს ქვეყანაში ერთადერთი სახიფათო ნარჩენების, სადაც განთავსებული იყო 2,700 ტონამდე ვადაგასული პესტიციდები, აგროქიმიკატები და სხვა. უმოქმედო ნაგავსაყრელი. აღნიშნული ტერიტორია არის შემოღობილი და განხორციელდა სახიფათო ნარჩენების გარკვეული რაოდენობის გატანა, რამაც საგრძნობლად შეამცირა სამარხიდან გარემოს დაბინძურების რისკები.
- **ქიმიური ნივთიერებების შესანახი საწყობი** – ქალაქ მარნეულში, ყოფილ N1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, აღმოჩენილია ქიმიური ნივთიერებების შესანახი საწყობი, სადაც 9 კასრში განთავსებულია საბრძოლო ქიმიური ნივთიერება „ქლორპიკრინი“, რომელიც შესუ ღია აკრძალული ქიმიური ნივთიერებების სიაში (მესამე ადგილზე) და წარმოადგენს ცრემლსადენ ნივთიერებათა ჯგუფს, ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

### 2.3. ქაოსური ნაგავსაყრელები:

მუნიციპალიტეტში მრავლად ვხვდებით არალეგალურ/ქაოსურ განავსაყრელებს, რომლის GPS კოორდინატებით აღწერის პროცესი თვითმმართველობამ განახორციელა ადგილმდებარეობის, ფართობის და ნარჩენების მიახლოებული მოცულობების გათვალისწინებით:

ლოკაციის რაოდ-ბა	ერთეული	მისამართი	GPS კოორდინატები	ნარჩენის სახეობა	ნარჩენის ოდენობა კუბ.მ.
<b>მარნეული</b>					
1	კოსტავას ქუჩა	ქუჩის შუა ნაწილში, მარნეული-სადახლოს გზატკეცილის გვერდით	41.472729,44.804307	ყველა სახის ნარჩენი	50
2	ჯანდარის მასივი	საცხოვრებელი კორპუსების პირდაპირ	41.502265,44.800492	ყველა სახის ნარჩენი	120
3	ჯავახიშვილის ქუჩა	ჯავახიშვილის ქუჩის ბოლოს, საცხოვრებელი სახლის წინ	41.495133,44.793843	ყველა სახის ნარჩენი	20
4	ფიროსმანის ქუჩა	ქუჩის შუა ნაწილში, ახლად აშენებული მაღაზიის უკან	41.490801,44.804307	სამშენებლო, საყოფაცხოვრებო	20
5	ფიროსმანის ქუჩა	ქუჩის ბოლოს, ქვის ცეხის წინ.	41.495653,44.782014	სამშენებლო, საყოფაცხოვრებო	5
6	ვაჟა-ფშაველას ქუჩა	ქუჩის ბოლოს	41.483537,44.782014	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	40
7	იალლუჯის ქუჩა	ბაზრის უკანა მხარეს, მთლიან ტერიტორიაზე	41.482779,44.810749	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	20

8	იალღუჯის ქუჩა	სასაკლავოს უკან	41.482143,44.811142	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	5
9	ხალილოვის ქუჩა	ქუჩის ბოლოს	41.472524,44.820387	სამშენებლო, საყოფაცხოვრებო	15
10	ბორჩალოელის ქუჩა	ქუჩის ბოლოს	41.477510,44.817619	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	15
11	ალგეთის ქუჩა	მდინარე ალგეთის გვერდით, 5-მეტრით დამორებით	41.466452,44.826121	საყოფაცხოვრებო	10
12	ვაჟა-ფშაველას ქუჩა			საყოფაცხოვრებო	40
13	300 არაგველის ქუჩა	ქუჩის ბოლოს, სარწყავი არხის გვერდით	41.501754,44.787353	საყოფაცხოვრებო	35
13	<b>სულ</b>				<b>395</b>
<b>ყიზილაჯლო</b>					
1	თბილისის ქუჩა	თბილისის ქუჩა	41.477303,44.773319	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	3
2	თბილისის ქუჩა	სტადიონზე	41.474771,44.774738	საყოფაცხოვრებო	8
3	განჯელის ქუჩა	რკინიგზასთან	41.482914,44.776467	ყველა ტიპის ნარჩენი	30
4	განჯელის ქუჩა	კარიერისკენ მიმავალ გზაზე	41.484783,44.780320	ყველა ტიპის ნარჩენი	30
5	განჯელის ქუჩა	განჯელის ქუჩა	41.487473,44.778320	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	6
6	განჯელის ქუჩა	ბლოკის ცენტრთან, კერძო საკუთრებაში	41.486522,44.779167	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	15
7	კურბანოვის ქუჩა	ქუჩის დასაწყისში	41.481610,44.781930	საყოფაცხოვრებო	40
8	კურბანოვის ქუჩა	ქუჩის ბოლოს	41.484523,44.787552	საყოფაცხოვრებო	5

9	ალიევის ქუჩა	რკინიგზის პირზე	41.476769,44.777751	ყველა ტიპის ნარჩენი	25
10	ალიევის ქუჩა	რკინიგზის პირზე	41.475110,44.776392	საყოფაცხოვრებო	10
11	ჟორდანიას ქუჩა	ჟორდანიას ქუჩა	41.472334,44.783311	საყოფაცხოვრებო	3
12	ჟორდანიას ქუჩა	აეროდრომის უკან, ყიზილაჯლოს განაპირა მხარეს	41.471716,44.782320	საყოფაცხოვრებო	40
13	ათა თურქის ქუჩა	ქუჩის ბოლოს	41.467984,44.775293	საყოფაცხოვრებო	10
14	ჟორდანიას ქუჩა	ჟორდანიას ქუჩა	41.477081,44.789964 41.477485,44.790194	ყველა ტიპის ნარჩენი	50
14	სულ				275
	შაუმიანი				
1	შაუმიანი	საფლავებთან	41.348395,44.767865	საყოფაცხოვრებო	70
2	შაუმიანი	ნორაშენის ხიდთან	41.348991,44.767865	საყოფაცხოვრებო	100
3	შაუმიანი	გაგარინის ხიდთან	41.353112,44.759733	საყოფაცხოვრებო	50
4	შაუმიანი	გაგარინის ქუჩა, ხიხანისკენ მიმავალ გზაზე, მდინარის კალაპოტში	41.356551,44.764438	საყოფაცხოვრებო	30
5	შაუმიანი	სოფლის შესასვლელში	41.356927,44.777488	საყოფაცხოვრებო- სამშენებლო	20
6	ხიხანი	ყოფილ არხთან	41.371201,44.764447	საყოფაცხოვრებო	35
7	თამარისი				
8	თამარისი	იჯარით გაცემულ ნაკვეთებთან	41.442674,44.750610	საყოფაცხოვრებო- სამშენებლო	30
9	თამარისი	ყოფილ საკონსერვო ქარხნის მიმდებარედ	41.440174,44.730681	სამშენებლო- საყოფაცხოვრებო	180
10	თამარისი	ყოფილ ღვინის ქარხნის მიმდებარედ	41.441072,44.747892	სამშენებლო- საყოფაცხოვრებო	150

11	თამარისი	არხის მიმდებარედ	41.435037,44.738476	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	20
12	თამარისი	არხის მიმდებარედ	41.431042,44.746110	სამშენებლო-საყოფაცხოვრებო	13
13	ალავარი	სოფლის განაპირას	41.434092,44.769022	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	15
13	<b>სულ</b>				<b>713</b>
<b>შულავერი</b>					
1	შულავერი	მარნეული-სადახლოს გზის გვერდით, ეთერზეთების ქარხნის მიმდებარე ტერიტორია	41.369851,44.837242	საყოფაცხოვრებო	15
2	შულავერი	ეთერზეთების ქარხნის მიმდებარედ	41.371328,44.838811	საყოფაცხოვრებო	30
3	შულავერი	მარნეული-სადახლოს გზის გვერდით, ეთერზეთების ქარხნის მიმდებარე ტერიტორია	41.371251,44.836412	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	10
4	შულავერი	ეთერზეთების ქარხნის მიმდებარედ	41.369453,44.835450	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	20
5	შულავერი	ეთერზეთების ქარხნის მიმდებარედ	41.370177,44.834510	საყოფაცხოვრებო	10
6	შულავერი	ეთერზეთების ქარხნის მიმდებარედ	41.372233,44.834289		0
7	შულავერი	შულავერის განაპირა მხარეს, ახლოს შაუმიანის გზასთან	41.370515,44.828000	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	70
8	ზემო სარალი	სოფლის ზედა მხარეს	41.328650,44.791881	საყოფაცხოვრებო	15
9	ზემო სარალი	ცენტრალურ შესასვლელში, მარნეული-სადახლოს გზის გვერდით	41.326114,44.800583	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	15



10	ქვემო სარალი	ქვემო სარალი	41.335670,44.824244	საყოფაცხოვრებო- სამშენებლო	30
11	ქვემო სარალი	სპორტ სკოლასთან ახლოს, სარწყავ არხთან. გოზალოვის სახლთან	41.336925,44.827862	საყოფაცხოვრებო	15
12	ქვემო სარალი	რკინიგზის პირზე, ილგარ ორუჯოვის სახლთან	41.346581,44.825449	საყოფაცხოვრებო	25
13	ქვემო სარალი	რკინიგზის პირზე, გარაჯაევ აბასის სახლის წინ	41.345845,44.824427	საყოფაცხოვრებო	10
14	ქვემო სარალი	სოფლის ცენტრში, წყაროსთან	41.341620,44.828434	ყველა ტიპის ნარჩენი	40
15	არაფლო	ცენტრი, რესტორნის უკან	41.355858,44.860520	სამშენებლო- საყოფაცხოვრებო	55
16	არაფლო	ცენტრი, მაღაზიებთან	41.350178,44.859902	საყოფაცხოვრებო	3
17	არაფლო	კარიერთან,სეიდგოჯალოს გზაზე	41.350677,44.856094	საყოფაცხოვრებო	10
18	ენიქენდი	ტოფიკ იბრაგიმოვის სახლთან	41.361087,44.888655	საყოფაცხოვრებო	8
19	ენიქენდი	მთავარ გზაზე, სარწყავი არხის გვერდით	41.359392,44.892569	საყოფაცხოვრებო	3
20	ახლომახმუდლო	ძველ სასაფლაოსთან	41.356179,44.880622	საყოფაცხოვრებო	8
21	ახლომახმუდლო	კარიერის გვერდით, რკინიგზასთან	41.350178,44.876527	საყოფაცხოვრებო	15
22	სეითგოჯალო	დიღამ მამედოვის სახლთან	41.348383,44.852757	საყოფაცხოვრებო	5
23	იმირქალა	სოფლის შესასვლელში	41.401933,44.805115	ყველა ტიპის ნარჩენი	20
24	იმირქალა	სოფლის ბოლოს	41.407052,44.802434	საყოფაცხოვრებო	3
25	იმირი	კარიერის მიმდებარედ, ხიდთან და სტადიონთან ახლოს	41.403434,44.825137	ყველა ტიპის ნარჩენი	25

26	იმირი	სტადიონის გვერდით, ხიდთან	41.403139,44.829272	ყველა ტიპის ნარჩენი	20
26	სულ				480
ალგეთი					
1	ალგეთი	პარკის მიმდებარედ	41.444894,44.896006	ყველა ტიპის ნარჩენი	25
2	ალგეთი	ხიდის მიმდებარე ტერიტორია, 100 მეტრის მანძილზე გზის პირზე ყრია ნარჩენები	41.445871,44.893425	ყველა ტიპის ნარჩენი	40
3	ალგეთი	ხიდის მიმდებარე ტერიტორია,ჭაობი წარმოადგენს ნაგავსაყრელს	41.447828,44.887492	საყოფაცხოვრებო	15
4	ალგეთი	ხიდის მიმდებარე ტერიტორია	41.448069,44.887135	საყოფაცხოვრებო	10
5	ალგეთი	სტადიონის გვერდით	41.448330,44.886485	საყოფაცხოვრებო	10
6	ალგეთი	სტადიონის გვერდით	41.449400,44.882765	საყოფაცხოვრებო	10
7	ალგეთი	სტადიონის გვერდით	41.450829,44.880252	სამშენებლო- საყოფაცხოვრებო	10
8	ალგეთი	ლომთაგორისკენ მიმავალი გზის პირზე	41.456499,44.897999	საყოფაცხოვრებო	20
9	ალგეთი	ლომთაგორისკენ მიმავალი გზის პირზე	41.460225,44.896583 41.460776,44.896564 41.461334,44.896471	ყველა ტიპის ნარჩენი	50
10	თაზაქენდი	სტადიონის გვერდით	41.440820,44.905401	ყველა ტიპის ნარჩენი	40
11	თაზაქენდი	მთავარი გზის პირზე	41.433753,44.926987	საყოფაცხოვრებო	5
12	თაზაქენდი	მთავარი გზის პირზე, სკოლასთან ახლოს	41.438811,44.911033	ყველა ტიპის ნარჩენი	5

13	აზისქენდი	სოფლის შესასვლელში, ამბულატორიასთან	41.431711,44.931691	საყოფაცხოვრებო	15
14	აზისქენდი	ხიდის გვერდით	41.420655, 44.944169	საყოფაცხოვრებო	15
15	გაჯისაქენდი	მეჩეთის გვერდით	41.415737,44.941458	ყველა ტიპის ნარჩენი	20
<b>სულ</b>					<b>290</b>
<b>დამია-გეურარხი</b>					
1	დამია-გეურარხი	დამიის ხეობის ქვედა მხარეს	41.290473,44.784254	სამშენებლო- საყოფაცხოვრებო	25
2	დამია-გეურარხი	დამიის ხეობის ზედა მხარეს	41.290540,44.779996	საყოფაცხოვრებო	15
3	დამია-გეურარხი	დამიის ხეობის ზედა მხარეს	41.290495,44.777288	ყველა ტიპის ნარჩენი	10
4	დამია-გეურარხი	მეხრალის ბაღთან	41.297252,44.790803	სამშენებლო- საყოფაცხოვრებო	15
5	დამია-გეურარხი	სოფლის ზედა მხარეს	41.301338,44.775519	საყოფაცხოვრებო- სამშენებლო	60
6	დამია-გეურარხი	სოფლის ზედა მხარეს	41.302200,44.772199	საყოფაცხოვრებო- სამშენებლო	20
7	დამია-გეურარხი	ხიდირის ბაღთან	41.298558,44.789062	საყოფაცხოვრებო	5
8	დამია-გეურარხი	ნამაზ ოღლუ ალის ბაღთან	41.302939,44.790001	საყოფაცხოვრებო	5
9	კიროვკა	სოფელ დამიაში ასასვლელი გზის დასაწყისში ნაპირზე	41.280809,44.790401	საყოფაცხოვრებო	15
10	კიროვკა	სოფელ დამიაში ასასვლელი გზის პირზე	41.280033,44.787888	ყველა ტიპის ნარჩენი	50
11	კიროვკა	ჭალაში მიმავალი გზის ნაპირზე	41.282053,44.798427	საყოფაცხოვრებო- სამშენებლო	20
12	ახლოლალო	სოფლის ზედა მხარეს	41.311374,44.782715	საყოფაცხოვრებო	15

13	ახლოვალლო	თახირის სახლის უკან, ხევში	41.308431,44.782831	საყოფაცხოვრებო-სამშენებლო	15
14	ახლოვალლო	რკინიგზის ქვედა მხარეს, სარწყავ არხთან ახლოს	41.308052,44.796918	საყოფაცხოვრებო	10
15	ახლოვალლო	ადილის სამრეცხაო ობიექტის უკან	41.309915,44.792810	საყოფაცხოვრებო	5
16	სულ				285
17	წერეთელი				
18	პატარა ბეგლიარი	სოფლის შესასვლელში	41.418407,44.820516	საყოფაცხოვრებო	10
19	პატარა ბეგლიარი	ცენტრი	41.418374,44.811462	საყოფაცხოვრებო	15
20	ბეგლიარი	ცენტრი	41.421274,44.805875	საყოფაცხოვრებო	20
21	ბეგლიარი	სოფლის განაპირად	41.424031,44.802602	საყოფაცხოვრებო	10
22	საიმერლო	სასაფლაოსთან	41.407601,44.833384	ყველა ტიპის ნარჩენი	70
23	საიმერლო	სასაფლაოსთან	41.406675,44.834419	ყველა ტიპის ნარჩენი	40
24	საიმერლო	ყოფილ, "სატომატე"-სთან	41.421865,44.838965	საყოფაცხოვრებო	3
	სულ				168
	სადახლო				
1	სადახლო	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.255426,44.797728	საყოფაცხოვრებო	3
2	სადახლო	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.254024,44.796694	ყველა ტიპის ნარჩენი	30
3	სადახლო	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.251765,44.795071	ყველა ტიპის ნარჩენი	30
4	სადახლო	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.250741,44.794030	ყველა ტიპის ნარჩენი	25
5	სადახლო	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.248776,44.792467	ყველა ტიპის ნარჩენი	30

6	სადახლო	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.246696,44.788759 41.246831,44.790071	ყველა ტიპის ნარჩენი	100
7	სადახლო	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.245058,44.786268	ყველა ტიპის ნარჩენი	50
8	სადახლო	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.244427,44.783519 41.243994,44.783157	ყველა ტიპის ნარჩენი	100
9	სადახლო	მე-10 ქუჩის ბოლოს	41.229661,44.780535	ყველა ტიპის ნარჩენი	25
10	სადახლო	36-ე ქუჩა I-ჩიხი	41.240261,44.804369	ყველა ტიპის ნარჩენი	30
11	სადახლო	36-ე ქუჩა I-ჩიხი	41.239502,44.804750	საყოფაცხოვრებო	25
12	სადახლო	მე-3 ქუჩის ბოლოს	41.231985,44.798187	ყველა ტიპის ნარჩენი	35
13	სადახლო	მე-2 ქუჩა	41.232603,44.806829	საყოფაცხოვრებო	3
14	სადახლო	პირველი ქუჩა, საზღვისკენ მიმავალი გზის პირზე	41.234206,44.811739	საყოფაცხოვრებო	3
15	მოლაოლლი	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.230761,44.751044	ყველა ტიპის ნარჩენი	100
16	მოლაოლლი	ჰუსეინოვის სახლთან	41.236275,44.759129	საყოფაცხოვრებო	7
17	მოლაოლლი	სადახლო-მოლაოლლი გზის პირზე	41.235599,44.764813	საყოფაცხოვრებო	10
18	ხულდარა	მდინარე ბანოვჩას ნაპირი	41.238051,44.773790	ყველა ტიპის ნარჩენი	80
19	თაზაქენდი	მდინარე დებედასთან ახლოს ხევში	41.222937,44.854763	ყველა ტიპის ნარჩენი	30

### 3. ნარჩენების მართვის არსებული მუნიციპალური სისტემის მიმოხილვა

#### 3.1. სერვისის მიმწოდებლები:

1. არასამეწარმეო პირი „სუფთა მარნეული“;
2. შპს. „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“;

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებას, დაგვა- დასუფთავებას და ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) პირი „სუფთა მარნეული“, რომელიც შექმნილია 2015 წელს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. „სუფთა მარნეული“ ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 55% (58 960 მოქალაქეს).



მუნიციპალიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმო შ.პ.ს. „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“, რომელიც უზრუნველყოფს ორგანული ნარჩენების გადამამუშავებას და მიღებული პროდუქცია (კომპოსტი) წარმოადგენს ერთ-ერთ ნიადაგის გამამდიდრებელ სასუქს.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს 80% კონტეინრული სისტემა, 20% ზარის სისტემა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით განთავსებული კონტეინერების საერთო რაოდენობა შეადგენს 850 ერთეულს (სტანდარტული 1,1 მ<sup>3</sup>). ნაგავმზირი სპეც მანქანის რაოდენობა შეადგენს - 6.

ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2017 წლიდან მიმდინარე ეტაპამდე ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობას, სადაც ხდება ნარჩენების მართვის სისტემის მიწოდება დაემატა ალგეთის, ქუთლიარის და ყულარის ადმინისტრაციული ერთეულები. ხოლო, ქალაქ მარნეულის დასუფთავების გრაფიკში მოხდა შემდეგი ცვლილება - ნარიმანოვის, სამედ-ვურდუნის და რუსთაველის ქუჩების დასუფთავება ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება დღეში ორჯერ. საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილი ურნების განახლებისათვის შექმნილი იქნა ჯამში 400 ერთეული ურნა, ასევე, ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესებისთვის 2 ნაგავმზირი სპეც მანქანა (აქედან 1 ნაგავმზირი იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსში გამარჯვების შედეგად გამოეცა მუნიციპალიტეტს, რომლის ღირებულება შეადგენდა - 82 243 000 ლარს).



2022 წელს, მუნიციპალიტეტში დაიწყო „საქმიანი ეზო“-ს მოწყობის პროცესი, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი სტანდარტებით და გააუმჯობესებს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

ნარჩენების წარმოქმნის პროგნოზის მიხედვით, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მაჩვენებელი 2018-2022 წლის მონაცემით შემდეგია:

- 2018 წელი - 30500 კუბ. მეტრი;
- 2019 წელი - 30500 კუბ.მეტრი;
- 2020 წელი - 7830 კუბ. მეტრი;
- 2021 წელი - 36600 კუბ. მეტრი;
- 2022 წელი - 42000 კუბ.მეტრი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დაახლოებით 30-მდე სტიქიური ნაგავსაყრელი დასუფთავდა, თუმცა მიმდინარე ეტაპზე ისევ მიმდინარეობს ნარჩენების დაგროვების პროცესი.



ასევე, ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში მოხდა მაშტაბური დასუფთავების პროცესი, მათ შორის სოფელ ალგეთიდან შეგროვებული და გამოტანილი იქნა 150 კუბ.მეტრი მოცულობის ნარჩენი. ხოლო, წითელი სოფლიდან - 100 კუბ.მეტრი.

ა(ა)იპ „სუფთა მარნეული“-ს მიერ ყოველთვიურად ხდება დაახლოებით 100 კუბ.მეტრი ინერტული ნარჩენის დასუფთავება.

იმისათვის რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორია დასუფთავდეს სრულად საჭიროებას წარმოადგენს სისტემაში მოიცვას ყველა ადმინისტრაციული ერთეული, ამოქმედდეს ფიზიკური პირებიდან მოსაკრებლის ამოღების პროცესი რაც მეტ ფინანსურ შესაძლებლობას მისცემს თვითმმართველობას განახორციელოს გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები. სისტემის სრულყოფისათვის გამოკვეთილი საჭიროებაა 1500 ცალი ლითონის კონტეინერი და 10 სპეც მანქანა (ნაგავმზიდი) სხვადასხვა მოცულობის, რადგან მუნიციპალიტეტში არის მაღალმთიანი დასახლებები, რის გამოც ყველა მოცულობის ნაგავმზიდი ვერ შეძლებს ნარჩენების ტრანსპორტირების პროცესს. ყოველივეს გათვალისწინებით საჭირო იქნება დამატებითი ადამიანური რესურსი (მინიმუმ 6 თანამშრომელი).

### 3.2. შეგროვებისა და გატანის მომსახურების ციკლის აღწერა

არასამეწარმეო პირი „სუფთა მარნეული“-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- მყარი (საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება შესაბამისი ღონისძიებების გატარება);
- მუნიციპალიტეტში მავნე ნივთიერებების შემცველი ნარჩენების შეგროვება;
- სანიტარული დასუფთავება და უსაფრთხო ეპიდგარემოს უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დეზინსექცია–დერატიზაცია;
- მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების, გაზონებისა და ბაღების (დასვენების პარკების) მოვლა–პატრონობა და გამწვანების ორგანიზება.

- სხვადასხვა სტიქიური მოვლენების (დიდთოვლობა, წყალდიდობა, ნიაღვარი, მეწყერი და სხვა) დროს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

„სუფთა მარნეული“ ნარჩენების შეგროვების და გატანის მომსახურებასთან დაკავშირებით, ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- ნარჩენების შეგროვება მოსახლეობიდან და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელამდე;
- ნარჩენების შეგროვება და სხვა დანიშნულების დაწესებულებებიდან;
- ქუჩების, ბაღების გასუფთავება და ნარჩენების გატანა;
- შესაბამისი სანიტარული ღონისძიებების ჩატარება.
- აწარმოოს სპეციალური ტექნიკური დამუშავების სამუშაოთა კომპლექსი მათი ფიზიკური–ქიმიური და ბიოლოგიური დაცვისთვის.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისთვის გამოიყენება შემდეგი სისტემები:

- კონტეინერული : მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია კონტეინერებში მოსახლეობას საშუალება აქვთ თავად განათავსონ ნარჩენები. კონტეინერების დაცლა ხდება განსაზღვრული გრაფიკით, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით. ქალაქ მარნეულში ნარჩენების გატანა ხდება დღეში ორჯერ, ხოლო სოფლებში კვირაში ორჯერ ან სამჯერ.
- ზარის სისტემა: აღნიშნული სისტემა გამოიყენება მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის ნაგავშიდი მანქანების მეშვეობით. ამ სოფლებში განთავსებული არ არის ნარჩენების ურნა. გატანის გრაფიკი მოიცავს ნარჩენების ტრანსპორტირებას კვირაში ორჯერ.

შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“:



2012 წელს, მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიხსნა შპს „მარნეულის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“, რომელიც განთავსებულია 1 ჰექტარ მიწის ფართობზე. საწარმოში ხდება კომპოტის წარმოება და სხვადასხვა სახეობის ნარჩენის (პლასტმასის ბოთლების, ორგანული ნარჩენის და სხვა) სეპარირებული შეგროვების/განთავსების/გადამამუშავების პროცესი. ნარჩენების სეპარირების პროცესი მოიცავს მხოლოდ ქალაქ მარნეულს, სადაც განთავსებულია შესაბამისი ბადურები პოლიეთილენის ბოთლებისთვის.

საწარმოს ფუნქციონირების მიზანია ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრა მუნიციპალიტეტში, ბიოლოგიური მეურნეობების (ეკოლოგიური მიწათმოქმედების) სტიმულირება, ნარჩენების კომპოსტირების საშუალებით უტილიზაციის პოპულარიზაცია და სეპარირები სისტემის განვითარება.

2022 წლის აპრილიდან საწარმოს მიერ ნედლეულის სახით შემოტანილი იქნა 20 კუბ.მ ტორფი, 38 კუბ.მ ჰამუსი, 20 კუბ.მ საკომპოსტე მასალა. ორგანული ნარჩენის გადამუშავებით, კომპოსტირების პროცესის დასრულების შემდეგ მიიღება დაახლოებით 35 კუბ. მზა პროდუქტი „კომპოსტი“. აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდში შეგროვდა 1330 კგ. პოლიეთილენის ბოთლის ნარჩენი.

2022 წელს, საწარმოში ჩატარებული ინვენტარიზაციის პროცესში, წარმოებული შიდა ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა სხვადასხვა სახეობის ტექნიკის, დანადგარის რემონტის საჭიროება, რომლიც აფერხებს საწარმოს სრულფასოვან ფუნქციონირებას. აგრეთვე, საჭიროებაა თვითმცლელის და ტრაქტორის შეძენა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელმა საწარმომ“ შეიძინა საპრესი დანადგარი. ხოლო, სეპარირების სისტემის გაუმჯობესებისათვის და პროცესის მიმდინარეობისთვის საჭიროა ყოველწლიურად მინიმუმ 20 პოლიეთილენისთვის განკუთვნილი ურნების შეძენა და განთავსება.

### 3.3. სატრანსპორტო საშუალებები

მარნეულის მუნიციპალიტეტის მაშტაბით ნარჩენების მართვის მომსახურებას ახორციელებს შპს. „სუფთა მარნეული“, სადაც გამოიყენება კონტეინერული და ზარის სისტემა. აღნიშნული მომსახურებით მოცულია მოსახლეობის 50% და დანარჩენი დასახლებული პუნქტები ვერ სარგებლობენ ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემით.

ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:

მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ააიპ „სუფთა მარნეულის“ ნარჩენების ტრანსპორტირების ტექნიკური აღჭურვილობა			
დასახელება	რაოდენობა	მდგომარეობა	განთავსების ადგილი (ქალაქი, ცენტრი, სოფელი) რაიონული
ნაგავმზიდი ტექნიკა	1	მუშა მდგომარეობაში	მარნეული
სპეც. ავტომანქანა	1	მუშა მდგომარეობაში	მარნეული
სპეც. ავტომანქანა	1	მუშა მდგომარეობაში	მარნეული
სპეც. ავტომანქანა	1	მუშა მდგომარეობაში	მარნეული
სპეც. ავტომანქანა	1	მუშა მდგომარეობაში	მარნეული
სპეც. ავტომანქანა	1	მუშა მდგომარეობაში	მარნეული
ექსკავატორ დამტვირთველი	1	მუშა მდგომარეობაში	მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ნარჩენების ტრანსპორტირების ტექნიკური აღჭურვილობა შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“			
დასახელება	რაოდენობა	მდგომარეობა	განთავსების ადგილი (ქალაქი, რაიონული ცენტრი, სოფელი)
თივისა და ტოტების დამაქუცმაცებელი დანადგარი	1	დაზიანებულია	შპს "ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო" – მარნეული, ს. ყიზილაჯლო (ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია – მარნეული–თეთრიწყაროს გზის მე-3-ე კილომეტრი
კომპოსტის ასარევი დანადგარი (მიქსერი)	1	დაზიანებულია	შპს "ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო" – მარნეული, ს. ყიზილაჯლო (ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია – მარნეული–თეთრიწყაროს გზის მე-3-ე კილომეტრი

<p>ჰორიზონტალური მბრუნავი საცერი (კომპოსტის გასაცრელად)</p>	<p>1</p>	<p>დაზიანებულია</p>	<p>შპს "ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო" – მარნეული, ს. ყიზილაჯლო (ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია – მარნეული–თეთრიწყაროს გზის მე-3-ე კილომეტრი</p>
<p>კომპოსტის დასამუშავებელი მოედანი, გადახურვით (13ა)</p>	<p>1</p>	<p>დაზიანებულია</p>	<p>შპს "ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო" – მარნეული, ს. ყიზილაჯლო (ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია – მარნეული–თეთრიწყაროს გზის მე-3-ე კილომეტრი</p>
<p>ხანძარსაწინააღმდეგო აუზი (500 კუბ.მ.)</p>	<p>1</p>	<p>დაზიანებულია</p>	<p>შპს "ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო" – მარნეული, ს. ყიზილაჯლო (ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია – მარნეული–თეთრიწყაროს გზის მე-3-ე კილომეტრი</p>
<p>წყლის რეზერვუარი (3 ტ) პლასტმასის კონსტრუქციით</p>	<p>1</p>	<p>მოქმედი</p>	<p>შპს "ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო" – მარნეული, ს. ყიზილაჯლო (ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორია – მარნეული–თეთრიწყაროს გზის მე-3-ე კილომეტრი</p>

რკინის ზადურა პოლიეთილენის ბოთლებისთვის	8	მუშა მდგომარეობაში	ქ. მარნეულში
---	---	--------------------	--------------

### 3.4. მატერიალური საშუალებები

ქ. მარნეულში განთავსებული ააიპ „სუფთა მარნეულის“ კონტეინერების ადგილმდებარეობა, რაოდენობა და მოცულობა (ქუჩების მიხედვით)			
N	კონტეინერების ადგილმდებარეობა		მოცულობა
1	რუსთაველის ქუჩა	სულ რაოდენობა - 324	1.1
2	სამედ-ვურლუნის ქუჩა		1.1
3	ნარიმანოვის ქუჩა		1.1
4	ჟორდანიას ქუჩა		1.1
5	26 მაისის ქუჩა		1.1
6	კოსტავას ქუჩა		1.1
7	ფიროსმანის ქუჩა		1.1
8	აღმაშენებლის ქუჩა		1.1



9	ლაღობის ქუჩა	1.1
10	მუსხელიშვილის ქუჩა	1.1
11	გამსახურდიას ქუჩა	1.1
12	ხალილოვის ქუჩა	1.1
13	გუდიაშვილის ქუჩა	1.1
14	ჯავახიშვილის ქუჩა	1.1
15	ყაზბეგის ქუჩა	1.1
16	ჯანდარის დასახლება	1.1
17	20 იანვრის ქუჩა	1.1
18	სამხედრო ქალაქი	1.1
19	ერეკლე II ქუჩა	1.1

### 3.5. ადამიანური რესურსი

ა(ა)იპ „სუფთა მარნეული“

#	თანამდებობა	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1	დირექტორი	1
2	დირექტორის მოადგილე	2
3	ფინანსური მენეჯერი	1
4	მთავარი მენეჯერი	1
5	მთავარი ბუღალტერი	1
6	იურისტი	1
7	ბუღალტერი	1
8	საქმეთა მწარმოებელი	1
9	ოპერატორი	1

10	საწყობის გამგეობა	1
11	ტექნიკური უსაფთხოების ინსპექტორი	1
12	დამლაგებელი	1
13	დაგვა-დასუფთავების უფროსი	1
14	ბრიგადირი	4
15	მექანიკოსი	1
16	დამგველი მანქანის მძღოლი	1
17	ექსკავატორის მძღოლი	1
18	იაპონკა მანქანის მძღოლი	1
19	მძღოლი	2
20	სპეც მანქანის მძღოლი	5
21	დამტვირთავი მუშა	21
22	მეეზოვე	33
23	დისპეჩერი (შტატგარეშე)	1
24	მეეზოვე (შტატგარეშე)	5
25	დამტვირთავი მუშა (შტატგარეშე)	7
26	შემდუღებელი (შტატგარეშე)	1
27	ბრიგადირი (შტატგარეშე)	1
28	შესყიდვების სპეცილისტი (შტატგარეშე)	1
29	მწვანე ნარგავების მოვლა-დასუფთავების ბრიგადირი	1
30	მწვანე ნარგავების მოვლა-დასუფთავების მუშა	9
31	მეზალე	3
32	მწვანე ნარგავების მოვლა-დასუფთავების მუშა (შტატგარეშე)	13
33	შადრევანისა და მის გარშემო ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მუშა (შტატგარეშე)	1

34	მებაღე (შტატგარეშე)	1
35	მუშა (შტატგარეშე)	1

**შპს "ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო"**

	<i>თანამდებობა</i>	<i>საშტატო ერთეულის რაოდენობა</i>
1	დირექტორი	1
2	დირექტორის მოადგილე	1
3	გაყიდვების მენეჯერი	1
4	მთავარი ბუღალტერი	1
5	მთავარი სპეციალისტი	2
6	სპეციალისტი	1
7	დარაჯი	2
8	მუშაე	3
9	დამლაგებელი	1
10	გველმჭერი	2

### 3.6. ნარჩენების განთავსება და დამუშავების ციკლები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ქალაქ მარნეულის ნაგავსაყრელი, რომლის ფართობი 76,000 მ<sup>2</sup>-ია. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობაა 21,600 მ<sup>3</sup>. ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 0.41 მ<sup>3</sup>. მუნიციპალიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმო შ.პ.ს. „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“, რომელიც უზრუნველყოფს ორგანული ნარჩენების გადამამუშავებას და მიღებული პროდუქცია (კომპოსტი) წარმოადგენს ერთ-ერთ ნიადაგის გამამდიდრებელ სასუეს. ასევე, საწარმოში ხდება სეპარირებულად შეგროვებული პლასტმასის ბოთლების დაპრესვა და დასაწყობება.

### 3.7. ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

ცხრილში წარმოდგენილია მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნარჩენების მართვის მიმართულელებით ფაქტობრივად გახარჯული თანხები და საპროგნოზო მაჩვენებლები:

#### ბიუჯეტი (თანხა ლარში)

	წელი	2018	2019	2020	2021	2022
1	„სუფთა მარნეული“	1 298 000	1 282 125	1 238 992	2 120 000	2 834 900
2	შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“	80 000	1 03 000	145 000	198 293	245 000

#### პროგნოზი:

	წელი	2023	2024	2025	2026	2027
1	„სუფთა მარნეული“	2 850 000	3 000 000	3 000 000	3 000 000	3 000 000
2	შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“	250 000	250 000	250 000	250 000	250 000

### 3.8 მოსაკრებელი:

საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ შესაბამისად, მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში წარმოქმნიან ნარჩენებს. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულისათვის - 25 ლარს ერთ უბურ მეტრ ნარჩენებზე. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 4 სულით.

მოსაკრებლის ოდენობა შეიძლება დიფერენცირებული იყოს ნარჩენების წარმომქმნელის მიერ, დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე ნარჩენების წარმომქმნელის შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც. აგრეთვე, მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას განსაზღვრული აქვს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფიზიკური პირებისთვის ნარჩენების მომსახურებაზე განკუთვნილი მოსაკრებელი - 1 ლარის ოდენობით, თუმცა მიმდინარე ეტაპზე არ ხდება მოსაკრებლის ამოღების პროცესი. ხოლო, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იურიდიული პირებიდან ხორციელდება მოსაკრებლის გადახდა ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე - 20 ლარის ოდენობით.

მერიაში მოსაკრებლის მიმართულებით მომუშავე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის და სამუშაო ჯგუფის მიერ, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ფიზიკური პირებისთვის ნარჩენებისათვის განკუთვნილი მოსაკრებლის ამოღების მექანიზმის შემუშავების და შემდგომ დანერგვის პროცესი. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული იქნება ნარჩენების მართვასთან და მოსაკრებელთან მიმართებაში არსებული კანონმდებლობა და სხვა მუნიციპალიტეტებში ამ კუთხით დანერგილი საუკეთესო პრაქტიკა.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა სარეკომენდაციო ტარიფი, რომელიც ეყრდნობა მოსახლეობის განწყობას: ტარიფი იქნება მზარდი კანონთან შესაბამისობაში:

1	ნარჩენების ტარიფი	2023	2024	2025	2026	2027
2	ლარი/ერთ სულ მოსახლეზე/თვეში	1	1	1	1	1

#### 4. მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ნარჩენების მართვაში




#### მოქალაქეთა მოსაზრება მარნეულის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გაუმჯობესების შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აქტიურ რეჟიმში მუშაობს მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და მათი მოსაზრებების გაზიარება უმნიშვნელოვანესია თვითმმართველობისთვის, რათა მაქსიმალურად მორგებული იყოს არსებული საჭიროებები და გამოწვევები დაგეგმილ აქტივობებს.

ნარჩენების მართვის სამუშაო ჯგუფის ინიციატივით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით 1 ქალაქში და 44 სოფელში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა. აღნიშნულ პროცესს კოორდინაცია გაუწია ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა, რომლებიც ყველა ახლო რგოლია თვითმმართველობასა და ადგილობრივი მოსახლეობასთან ეფექტური კომუნიკაციისთვის. კვლევის ფარგლებში გამოკითხა 760 ადამიანი და ქვემოთ წარმოდგენილია გამოკვეთილი საჭიროებები და ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფისათვის მოქალაქეების მხრიდან გამოკვეთილი პრიორიტეტები.


## კვლევის ანალიზი

კვლევის არეალი მოიცავდა ქალაქ მარნეულს და შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებს: კასუმლო, აღმამედლო, კუმჭუ, ულაშლო, ბეითარაბჩი, ბაითალო, ოფრეთი, ხოხმელი, წერეთელი, საიმერლო, ნორგიული, ბეგლიარი, დამია-გეურარხი, დამია, კიროვკა, ახლოლალო, სადახლო, მოლაოდლი, ხულდარა, ბურმა, თამარისი, ალავარი, დიოკნისი, ჩანახჩი, ახკერპი, ხოჯორნი, ცოფი, გიულბახი, ბრდაზორი, ქუთლიარი, ბაიდარი, დიდი მულანლო, ლეჟბადინი, შულავერი, სეიდგოჯალო, არაფლო, მარეთი, ზემო სარალი, იმირი, ქვემო სარალი, ენიქენდი, შაუმიანი, ხიხანი. კითხვარი შედგებოდა 9 კითხვისგან, სადაც დაფიქსირებული პასუხების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მიმართულებით მოქალაქეების პოზიცია, შეხედულებები, საჭიროებები და პრიორიტეტები.



პირველი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ რა პრობლემას ხედავდა მოქალაქე საკუთარ საცხოვრებელი ადგილის ირგვლივ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყო განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების ურნა მის უბანში. შედეგად, 382 რესპოდენტმა (47%) დააფიქსირა რომ არ დგას ურნები მის უბანში, ან აქ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ასევე არაა საკმარისი განთავსებული ურნების რაოდენობა. 29%-მა აღნიშნა, რომ დგას ურნები და ხდება ნარჩენების გატანა. 8%-ს (70 რესპოდენტი) მოსაზრებით საერთოდ არ ხდება ნარჩენების გატანა, ხოლო 12%-მა (97 რესპოდენტი) დააფიქსირა, რომ საერთოდ არ ხდება ნარჩენების გატანის პროცესი.


2) არის თუ არა თქვენს დასახლებაში ქაოსური  
ნაგავსაყრელების კერა?



მეორე კითხვა ისახავდა მიზანს ინფორმაციის გაგებას ქაოსური ნაგავსაყრელების კერების შესახებ მოქალაქეების ინფორმირებულობის მაჩვენებლის გაგებას და გამოიკვეთა, რომ 394 რესპოდენტი (60%) აწყდება საკუთარ სოფელში/ქალაქში ქაოსურ ნაგავსაყრელს. 240 რესპოდენტი (36%) თვლის რომ არ არის ქაოსური ნაგავსაყრელები მის ირგვლივ/




3) თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები უფრო მეტად მოვლილი იყოს?




მესამე კითხვით გამოიკვეთებოდა მოქალაქეების პოზიცია, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები უფრო მეტად იყოს მოვლილი, შედეგად 208 რესპოდენტი (23%) მიიჩნევს, რომ უფრო ხშირად უნდა დასუფთავდეს თავშეყრის ადგილები, 231 რესპოდენტი (26%) - რომ უნდა გაიზარდოს ნარჩენების ურნების რაოდენობა, 109 რესპოდენტი (12%) თვლის, რომ რეგულარულად უნდა მოხდეს გამწვანების პროცესი მის ქალაქში/სოფელში, ხოლო 260 რესპოდენტი ფიქრობს, რომ ყველა მოქალაქემ უნდა გაიზაროს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ჩაერთოს ნარჩენების მართვის პროცესში. 54 რესპოდენს (6%) არ ჰქონდა პასუხი აღნიშნულ კითხვაზე.

4) თქვენს დასახლებაში რომ ხდებოდეს სეპარირების (ნარჩენების დახარისხება) პროცესი, მიმართავდით თუ არა?




კარგი შედეგობრივი მახალისათებელია, როცა 437 რესპოდენტი (62%) აფიქსირებს მზაობას, რომ სეპარირების სისტემის დანერგვის შემთხვევაში მოახდენს ნარჩენების დახარისხებას, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სამომავლოთ სისტემის განვითარებას. 106 რესპოდენტი (15%) მიიჩნევს, რომ არ ჩაერთვება სეპარირების პროცესში, ხოლო 163 რესპოდენტი (23%) არ არის ჩამოყალიბებული პოზიციისთ ამ მიმართულებით და სავარაუდოა, რომ ცნობიერების ამაღლების კამპანია მოსახლეობაში შეუწყობს ხელს მათ ჩართულობის და მზაობის გაზრდას.

5) ნარჩენების მართვის მოსაკრებლის გადახდა რომ ხდებოდეს, თქვენ რა თანხის გადახდას შეძლებდით?



ნარჩენების მოსაკრებლის საკითხი ერთ-ერთი გამოწვევაა თვითმმართველობისთვის და მოსახლეობის დამოკიდებულება ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია შემდგომი ნაბიჯების განსახორციელებლად. მეხუთე კითხვით გამოიკვეთა, თუ რა თანხის ოდენობის გადახდას შეძლებდა მოქალაქე თუ ამოქმედდება ნარჩენების მოსაკრებლის სისტემა. 262 რესპოდენტი (36%) თვლის, რომ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია 1 ლარი ერთ სულ მოსახლეზე, 70 რესპოდენტი (10%) – 2 ლარს ერთ სულზე, ხოლო 43 რესპოდენტი (6%) მიიჩნევს 3 ლარის გადახდის შეძლებლობა აქვს ერთ სულ მოსახლეზე. 171 რესპოდენტის (25%) გამოკვეთილი პოზიციია რომ არ უნდა მოსაკრებლის გადახდა. რაც შეეხება, 179 რესპოდენტს (23%) არ აქვს პასუხი კითხვაზე და იკავებს თავს პოზიციის დაფიქსირებისგან. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებითაც მოსახლეობაში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები გაზრდიდა მოქალაქეების დაინტერესებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნარჩენების სისტემის გაუმჯობესებისთვის მოსაკრებლის რესურსი, რომელიც ისევ მოხმარდება ნარჩენების მართვის განვითარების პროცესს.

6) მივიღიათ თუ არა მონაწილეობა დასუფთავების აქციაში? ან უბნის, სკვერის დასუფთავების პროცესში?



მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ხშირად ეწყობა, როგორც თვითმმართველობის მხრიდან დასუფთავების აქციები, ასევე მოხალისეების ინიციატივით და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით, ამიტომ საინტერესო იყო რესპოდენტების მიერ დაფიქსირებული შედეგი, მიუღიათ თუ არა მონაწილეობა დასუფთავების აქციებში. 247 რესპოდენტმა (36%) აღნიშნა, რომ ხშირად არის ჩართული დასუფთავების აქციებში, საკუთარი უბნის და მასთან ახლოს არსებული სკვერის დასუფთავების პროცესში, რაც მოქალაქეების აქტიურობის მაჩვენებელია. 218 რესპოდენტს (32%) მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ამ კუთხით ჩართულობის მცდელობა და 219 რესპოდენტის (32%) პასუხით იკვეთება, რომ მათ არ მიუღიათ დასუფთავების პროცესში მონაწილეობა.

მეშვიდე ღია კითხვაში შეეძლოთ რესპოდენტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია, თუ რა უნდა გაკეთდეს მის დასახლებაში, რომ გაუმჯობესდეს დასუფთავების მაჩვენებელი. წარმოებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები/საჭიროებები:

სულ 760  
რესპოდენტი

1 ქალაქი და  
44 სოფელი

7) რა უნდა გაკეთდეს  
თქვენს დასახლებაში  
დასუფთავების საკითხის  
გასაუმჯობესებლად?



**გამოკვეთილი პრიორიტეტები/საჭიროებები:**

ნარჩენების ურნების დამატება/დადგმა

მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების კამპანია

დასუფთავების აქციების მოწყობა

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა

დაჯარიმების სანქციების ამოქმედება

ნარჩენების დახარისხება


ნარჩენების რეგულარული გატანა/გრაფიკში ცვლილება

გამწვანების აქციების ორგანიზება

ქაოსური ნაგავსაყრელების დასუფთავება/დახურვა

ნარჩენების გადამუშავება

8) ნარჩენების მართვის მიმართულებით, ცნობიერების ამაღლების კუთხით, რომ ჩატარდეს ბაღებში, სკოლებში და სოფლებში სხვა მიზნობრივ ჯგუფებში საინფორმაციო შეხვედრები, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას?



მერვე კითხვა დააფიქსირებდა მოქალაქეების მზაობას ნარჩენების მართვის მიმართულებით, ცნობიერების ამაღლების კუთხით რომ ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები საბავშვო-ბაღებში, სკოლებში და სოფლებში მოსახლეობასთან, რამდენად დავესწრებოდნენ, მიიღებდნენ მონაწილეობას. ძალიან კარგი შედეგია, როცა 360 რესპოდენტმა (49%) დადებითად შეაფასა ინიციატივა და 273 რესპოდენტმა (37%) გამოთქვა სურვილი შეხვედრაზე დასწრების. მხოლოდ 79 რესპოდენტმა (11%) აღნიშნა, რომ არ დაესწრებოდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრას, რაც შეიძლება დროის ან ინტერესის არ ქონით აიხსნას.

## 5. მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის „SWOT“ ანალიზი

სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით შემუშავებული იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრის გზით (SWOT ანალიზი).

ძლიერ მხარეებს შორის აღსანიშნავია ის, რომ :

- მარნეულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ნარჩენების მართვის შესაბამისი სამსახური:
  1. ააიპ „სუფთა მარნეული“
  2. „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“.
- მარნეულის მუნიციპალიტეტში „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს არსებობა (ერთადერთია ქვემო ქართლის რეგიონში და ამიერკავკასიაშიც);
- მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზრდადი დაფინანსება.
- სეპარირების საპილოტე მეთოდის არსებობა.
- ორგანული ნარჩენების გადამამუშავების (კომპოსტის მიღების) გამოცდილება.
- აღნიშნული მიმართულებით, ინვესტიციების მოზიდვისა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.
- მუნიციპალიტეტში არის ტექნიკა, რითაც შესაძლებელია საწარმოს წარმადობის გაზრდა;
- მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის სურვილი მონაწილეობა მიიღონ დასუფთავების ღონისძიებებში;

სუსტ მხარეებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- არასანქცირებული ნაგავსაყრელების არსებობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- ნარჩენების მართვის მომსახურებით არ არის მოცული მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორია;
- მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების სერვისის გადასახადი არ არის დაწესებული;

- არ არსებობს ცხოველთა ნარჩენების შესაბამისი უტილიზაციის საშუალებები;
- გარემოს ნარჩენებით დაბინძურების შემთხვევაში, არ ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული ჯარიმები;
- არასაკმარისი თანამედროვე სპეციალური ტექნიკა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის ( მათ შორის სატვირთო მანქანა; ბობკატი);
- მუნიციპალიტეტში არსებულ კომპოსტირების საწარმოს არარენტაბელობა;
- ადგილებზე/ფერმერების მიერ კომპოსტირების სისტემის არ ქონა.
- მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიის დანაგვიანება (არხების, ბაღების, ნიადაგის, წყლის), გადაქცევა უკანონო ნაგავსაყრელად, ანტისანიტარია.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმაციის ნაკლებობა ნარჩენების მართვის სისტემასთან დაკავშირებით;
- დასახლებებში ნარჩენების შეგროვების საშუალებები მოძველებული და არასტანდარტულია;
- საინფორმაციო საშუალებების მხრიდან ნაკლები ყურადღება ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირება / საქმიანობის შესახებ;
- სახიფათო ნარჩენების (მაგ: სამედიცინო და სხვა სპეციფიკური ნარჩენები) კვლავ ხვდება ნაგავსაყრელებზე;

**შესაძლებლობები – (რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნარჩენების მართვის სისტემას მარნეულის მუნიციპალიტეტში)**

- მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარაციის სისტემის განვითარება;
- საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ არსებობა, რომელიც კონკრეტულად საზღვრავს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობას ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვის მიმართ;
- ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომელშიც განსაზღვრულია საქართველოს ვალდებულებები ნარჩენების მართვის მიმართულებით;
- ნარჩენების მართვის 2016–2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016–2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- თანამშრომლობა სხვა მუნიციპალიტეტთან;
- მოსახლეობის ჩართულობა ნარჩენების მართვის სისტემაში, სხვადასხვა ღონისძიების სახით;
- ახალი პროდუქტის შექმნა არსებული რესურსის საშუალებით;
- მიღებული კომპოსტის გაზრდის შესაძლებლობა;
- „კომუსის“ წარმოება და ქსელის (ციკლის) აწყობა;



- საწარმოს ცნობადობის გაზრდა. რაც ხელს შეუწყობს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას;
- აქტიური თანამშრომლობა საინფორმაციო საშუალებებთან, რაც გაზრდის, როგორც დაინტერესებას აღნიშნულ საწარმოზე, ასევე საქმიანობის ხარისხს;

#### საფრთხეები:

- ფორს–მაჟორული სიტუაციები და არასტაბილური გარემო
- საქართველოს ნარჩენების მართვის სტრატეგიაში გათვალისწინებული ვალდებულებების არდაცვა
- ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს არამდგრადი რენტაბელობა (ორგანული ნარჩენების რესურსის სიმცირე, წარმოებული კომპოსტის რეალიზაციის პრობლემა)

#### 5.2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის პრობლემათა იდენტიფიკაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტში, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და აქტუალური საკითხებია შემდეგი:

- ❖ პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების სერვისის გადასახადის გადახდა მოსახლეობის მხრიდან–სოფლებში, პრაქტიკულად გადასახადი არ არის დაწესებული;
- ❖ ნარჩენების მართვის სექტორში, საზოგადოების არასაკმარისი ჩართულობა, ინფორმირებულობა და საზოგადოების ცნობიერების არასათანადო დონე;
- ❖ გარემოს საყოფაცხოვრებო და ინერტული/სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრულ ჯარიმების პრაქტიკული განხორციელება ;
- ❖ მუნიციპალიტეტში არსებულ კომპოსტირების საწარმოს ეფექტური მუშაობისათვის არასრული აღჭურვილობა;
- ❖ მოქმედი მუნიციპალური ნაგავსაყრელის მართვისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ არასაკმარისი სპეც. მანქანები და შესაბამისი აღჭურვილობა და მოსმსახურებულის დაფარვის ზონა;
- ❖ ადგილზე ფერმერების მიერ კომპოსტირების დანერგვის საჭიროება;

- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ნარჩენების მართვის სერვისის მიმწოდებლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ;
- ❖ მოსაკრებლის არ არსებობა;

ამ პრობლემების ანალიზით, პრობლემების იდენტიფიკაციით გამოიკვეთა ყველაზე აქტუალური პრობლემები, რაც იერარქიულად დალაგდა:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნარჩენების მართვის სერვისით არასრული დაფარვა;
2. მოსაკრებლის არ არსებობა;
3. არასანქცირებული ნაგავსაყრელების აღკვეთა;
4. სეპარირების კულტურის დაბალი მაჩვენებელი;
5. მოსახლეობის ჩართულობის სიმცირე;
6. ტექნიკის გადახალისება ;

**პრობლემების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტები:**

### **5.3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის პრიორიტეტების განსაზღვრა**

- ქაოსური ნაგავსაყრელების აღმოფხვრა და ახალი კერების პრევენცია;
- დახვეწა ზედამხედველობის სისტემის, მუნიციპალურ სტიქიურ ნაგავსაყრელებზე;
- მოსაკრებლის დარეგულირება;
- მიღებული პროდუქტის რეალიზების გაზრდა;
- „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოს“ შესახებ ცნობიერების გაზრდა;
- მისახლეობის ცნობიერების გაზრდა ნარჩენების მართვის სისტემასთან დაკავშირებით;
- დაჯარიმების სანქციების გამკაცრება.
- ნარჩენების მართვის სისტემის გაფართოება;